პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

ოთხშაბათი 5 აპრილი 1939 წ. № 78 (5478) ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირსა და იაპონიას შორის თევზჭერის საკითხებზე მიღწეული შეთანხმებისათვის

## ოქმი

რამდენადაც 1938 წლის 31 დეკემბერს მოქმედების ვადა გაუვიდა თევზჭერის კონვენციას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის, ხელმოწერილს 1928 წლის 23 იანვარს და განგრძობილს ოქმებით, რომლებიც ხელმოწერილი იყო შესაბამისად 1936 წლის 25 მაისს, იმავე წლის 28 დეკემბერს და 1937 წლის 29 დეკემბერს, და რამდენადაც ახალი კონვენცია 1938 წლის 31 დეკემბრამდე არ ყოფილა დადებული:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და იაპონიის მთავრობები ამით თანხმდებიან, რომ თევზჭერის კონვენცია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის, ისევე როგორც მასთან დართული ყველა დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია 1928 წლის 23 იანვარს, ძალაში რჩება 1939 წლის 31 დეკემბრამდე.

რის დასადასტურებლად ქვემოხელისმომწერლებმა, თავიანთ მთავრობათა მიერ კუთვნილებისამებრ ჯეროვნად რწმუნებულებმა, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შედგენილია ორ ცალად ქ. მოსკოვში, 1939 წლის 2 აპრილს, რაც შეესაბამება სიოვას მე-14 წლის მე-4 თვის მე-2 დღეს.

მ. ლიტვინოვი შ. ტოგო

## ნოტების გაცვლა-გამოცვლა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის ნოტა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სსრ კავშირში ბ-ნ ტოგოს.

მოსკოვი, 2 აპრილი 1939 წელი.

ბატონო ელჩო,

მაქვს პატივი დაგიდასტუროთ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის თევზჭერის კონვენციის ძალაში დატოვების შესახებ იმ ოქმის შედგენისათვის წარმოებულ მოლაპარაკებაში, რომელიც ხელმოწერილ იქნა დღევანდელი თარიღით, ჩვენს შორის მიღწეული იყო შეთანხმება იმის შესახებ, რომ მე-8 მუხლის გასაუქმებლად, რაც დართული აქვს აღნიშნული თევზჭერის კონვენციის ა ოქმს, 40 უბანი, რომელთა შესახებაც საბჭოთა მთავრობამ აუწყა იაპონიის მთავრობას 1938 წლის 28 ნოემბერს, იმ 3 უბნის გამოკლებით, რომლებზედაც საბჭოთა მთავრობამ შემდეგ უარი სთქვა, ე. ი. 37 უბანი გამორიცხულ იქნება 1939 წლის საჯარო ვაჭრობიდან.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა კვლავ დაგარწმუნოთ, ბატონო ელჩო, თქვენდამი ჩემს დიდ პატივისცემაში.

მ. ლიტვინოვი

ანალოგიური ნოტა გამოუგზავნა იაპონიის ელჩმა ბ-ნმა ტოგომ საგარეო საქმეთა კომისარს ამხ. ლიტვინოვს.

## საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის ნოტა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სსრ კავშირში ბ. ტოგოს

მოსკოვი, 1939 წლის 2 აპრილი.

ბატონო ელჩო,

იმასთან დაკავშირებით, რომ დღეის რიცხვს ხელმოწერილ იქნა ოქმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის 1928 წლის 23 იანვარს ხელმოწერილი თევზჭერის კონვენციისა და ამასთან დართული იმ დოკუმენტების ძალაში დატოვების შესახებ, რომლებიც ხელმოწერილია იმავე რიცხვს, მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი:

1. ის სათევზაო უბნები, რომლებზედაც 1939 წელს მოხდება საჯარო ვაჭრობა და რომლებიც ამ საჯარო ვაჭრობის შედეგად იაპონელ ქვეშევრდომებს დარჩებათ, იჯარით მიეცემა მათ 5 წლის ვადით მისი წინანდელი პირობების შენარჩუნებით.

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა თანახმაა განაახლოს წინანდელ პირობებზე, ვადით 1939 წლის 31 დეკემბრამდე, იმ განსაკუთრებულ ხელშეკრულებათა მოქმედება, რომლებიც დადებულია 1928 წლის 3 ნოემბერს იაპონელ მოქალაქეთა მიერ №№ 11, 12, 13, 14, 18, 19, 21, 22, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 36, 37, 39, 42 საკონსერვო ქარხნებისა და მათზე მიმაგრებული №№ 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 708, 742, 743, 757, 758, 766, 767, 775, 776, 782, 829, 830, 837, 838, 839, 842, 847, 848, 854, 855, 857, 858, 860, 861, 866, 867, 975, 980, 981, 984, 985, 986, სათევზაო უბნების ექსპლოატაციის შესახებ, იმ დოკუმენტებთან და შემდგომ დამატებით შეთანხმებებთან ერთად, რომლებიც ამ ხელშეკრულებებს შეეხება.

3. საბჭოთა სახელმწიფო მრეწველობა 1939 წელს დაიჭერს 5 მილიონამდე ფუთ თევზს.

4. საჯარო ვაჭრობით გაიცემა, დამატებით, №№ 833, 834 და 835 უბნები, რომლებიც წინათ არ ყოფილან იაპონელთა ექსპლოატაციაში.

5. მიღებული ცნობების თანახმად, საბჭოთა თევზმჭერი ორგანიზაციები, რომლებმაც ამა წლის 15 მარტის საჯარო ვაჭრობის დროს დაირჩინეს №№ 35, 36, 367, 368, 369 და 737 უბნები, აგრეთვე №№ 372, 373, 805 და 806 უბნები, რომელთა ექსპლოატაციას წინათ იაპონელები ეწეოდნენ, მზად არიან ყველა ეს 10 უბანი დაუთმონ იაპონელ თევზის მრეწველებს საბჭოთა ორგანიზაციების მიერ საჯარო ვაჭრობის დროს განცხადებულ ფასებში.

6. № 445 უბნის ნაცვლად, რომლის ექსპლოატაციასაც იაპონელი თევზის მრეწველები ეწეოდნენ და რომლის იჯარის ვადა 1941 წელს გადის, იაპონელ თევზის მრეწველებს საჯარო ვაჭრობის მოუხდენლად დაეთმობათ იმავე ვადით № 370 უბანი.

ამასთან ერთად, პასუხად თქვენი შეკითხვისა ამ ნოტის 1 პუნქტში აღნიშნული საჯარო ვაჭრობისათვის სათევზაო უბნების შეფასების შესახებ მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ, ჩემ მიერ მიღებული ცნობების თანახმად, „დალრიბას" განზრახვა არა აქვს გაადიდოს მიმდინარე წელს აღნიშნული შეფასება 10 %-ზე მეტად თვითეული უბნისათვის ცალკე.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა კვლავ დაგარწმუნოთ თქვენდამი ჩემს დიდ პატივისცემაში.

მ. ლიტვინოვი

საპასუხო ნოტაში იაპონიის ელჩმა ბ-მა ტოგომ სიტყვა-სიტყვით განიმეორა ზემოთმოყვანილი ნოტის შინაარსი და განაცხადა, რომ იღებს მას ცნობად.

## თევზჭერის საკითხებზე შეთანხმებისათვის

საბჭოთა წყლებში იაპონელთა თევზჭერის უფლებები, მიღებული მათ მიერ პორტსმუტის ხელშეკრულების ძალით, დღემდე რეგულირებული იყო თევზჭერის 1928 წლის კონვენციით და 1932 წლის დამატებითი შეთანხმებით. კონვენციის თანახმად, იაპონელები თავის სათევზაო უბნებს საჯარო ვაჭრობით იღებდნენ. დამატებითი შეთანხმებით, საჯარო ვაჭრობა იმართებოდა მხოლოდ ახალ უბნებზე ხოლო ძველი უბნები, რომლებიც წინათ იაპონელებს საექსპლოატაციოდ ჰქონდათ გადაცემული, ავტომატურად ეძლეოდათ მათ მხოლოდ საიჯარო ხელშეკრულებათა საფუძველზე. კონვენციის, აგრეთვე დამატებითი შეთანხმების ვადა გავიდა 1936 წლის დეკემბერში. გარდა ამისა, კონვენცია დენონსირებულ იქნა იაპონიის მთავრობის მიერ, რომელსაც, როგორც სჩანს, იმედი ჰქონდა, რომ ახალი კონვენციის დადების დროს მიიღებდა უფრო ფართო უფლებებს თავის თევზმრეწველთათვის.

იაპონიის პოლიტიკის მკვეთრად გამოხატული ანტისაბჭოთა კურსის შედეგად, რამაც უაღრესად მკაფიო გამოხატულება ჰპოვა გერმანიასთან ანტიკომინტერნული პაქტის ნიღბით კავშირის დადებაში, 1936 წელს დაწყებული მოლაპარაკება თევზჭერის ახალი კონვენციის ხანგრძლივი ვადით დადების შესახებ, უშედეგოდ დამთავრდა, რის გამო 1928 წლის კონვენციას დამატებით შეთანხმებასთან ერთად ვადა გაუგრძელდა ერთი წლით, ე. ი. 1937 წლისათვის, ხოლო შემდეგ კიდევ 1 წლით, ე. ი. 1938 წლისათვის.

1938 წლის ნოემბერში იაპონიისაგან მიღებულ წინადადებაზე ახალი კონვენციის დადების თაობაზე მოლაპარაკების შესახებ, საბჭოთა მთავრობამ უპასუხა, რომ ასეთი მოლაპარაკების დაწყებაზე იგი თანახმაა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იაპონიის მთავრობა შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზისათვის მანჯოუ-გოს გადასახდელთა გარანტირების შესახებ (მანჯოუ-გოს აქამდე არ შემოუტანია უკანასკნელი გადასახდელი, რომელიც მასზე ირიცხება). რადგან იაპონიის მთავრობამ უარი სთქვა ამ პირობის შესრულებაზე, საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა დაიწყოს მოლაპარაკება მხოლოდ თევზჭერის დროებითი შეთანხმებაზე ერთი წლით. მოლაპარაკება სწარმოებდა თითქმის 4 თვის განმავლობაში და, გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ნოტებისა და მემორანდუმების გაცვლა-გამოცვლას საგა- [illegible]

სა და იაპონიის საელჩოს შორის მოსკოვში.

საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს დაუბრუნდეს საჯარო ვაჭრობათა სისტემას, რომლითაც უნდა გაიცეს როგორც ახალი სათევზაო უბნები, ისე ის უბნებიც, რომლებიც წინათ იაპონელებს ჰქონდათ გადაცემული საექსპლოატაციოდ. დანარჩენი მხრივ იგი მზად იყო დაედო დროებითი შეთანხმება 1928 წლის კონვენციის საფუძველზე, გარდა მე-8 მუხლისა, რომლის თანახმად ერთხელ გახსნილი უბნები არ შეიძლება დაიხუროს და უნდა გაიცეს საჯარო ვაჭრობით ანდა საჯარო ვაჭრობის გარეშე გადაეცეს მოიჯარეებს. ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს იაპონელთათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული უბნებიდან სტრატეგიული მოსაზრებებით გამორიცხოს 40 უბანი, მათ შორის 4 უბანი, მიმაგრებული საკონსერვო ქარხნებზე, და 1 უბანი, რომლის საიჯარო ხელშეკრულებას ვადა გაუდის მხოლოდ 1941 წელს. შემდეგში, საბჭოთა მთავრობამ შესაძლოდ სცნო აღნიშნული მოსაზრებებით გამოერიცხა მხოლოდ 37 უბანი ნაცვლად 40-სა. გარდა ამისა, საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგი იყო, რომ იაპონია ჩარეულიყო, როგორც ამას კონვენცია ითვალისწინებდა, თევზჭერის რეგულირებაში, რაც საბჭოთა სახელმწიფოს მრეწველობის საქმეს შეადგენს. კონვენციის თანახმად ეს თევზჭერა განსაზღვრული იყო 2 მილიონი ფუთით.

იაპონია დაჟინებით ილაშქრებდა საჯარო ვაჭრობის წინააღმდეგ, მოითხოვდა რა საიჯარო ხელშეკრულებათა ავტომატურად განგრძობას ყველა უბანზე, რომელიც იაპონელებს ჰქონდათ გადაცემული საექსპლოატაციოდ და რომელსაც საიჯარო ხელშეკრულების ვადა გაუვიდა. იგი განსაკუთრებული დაჟინებით ილაშქრებდა მისგან 37 უბნის ჩამორთმევის წინააღმდეგ, აყენებდა რა ყოვლად უსაფუძვლო თეორიას, თითქოს იაპონელთა მიერ წინათ მიღებული ყველა უბანი „სტაბილურია" და სამუდამოდ უნდა დარჩეს იაპონელთა სარგებლობაში. საჯარო ვაჭრობის სისტემის მიღების შემთხვევაში, იგი აგრეთვე დაჟინებით მოითხოვდა, რომ საჯარო ვაჭრობა გამოცხადებული ყოფილიყო ყველა უბანზე, რომელთა ექსპლოატაციასაც საბჭოთა სახელმწიფო მრეწველობა ეწევა.

შემდეგში, იაპონია თანხმდებოდა ჯერ 12 უბნის, ხოლო შემდეგ 24 უბნის ჩამორთმევაზე, მაგრამ მ ბა- [illegible]

ცემოდა ამავე რაოდენობის სხვა უბნები, ამასთან აუცილებლად თანაბარფასიანი და მისი ამორჩევით. საბჭოთა მთავრობამ გადაჭრით უარჰყო იაპონელებისაგან ამა თუ იმ მოსაზრებით ჩამორთმეული უბნების შეცვლის ან კომპენსაციის პრინციპი.

თავის მოთხოვნებს ზემოაღნიშნულ სადავო საკითხებზე იაპონია ასაბუთებდა პორტსმუტის ხელშეკრულებით, რომელშიაც, როგორც მას მიეთითა, არაფერი არ არის ნათქვამი არც იაპონელებისათვის უბნების მიცემის წესის შესახებ, არც იმ უბნების რაოდენობის შესახებ, რომლებზედაც იაპონელებს უფლება ჰქონდათ, არც იაპონელთა უბნების ეგრეთწოდებული „სტაბილიზაციის" შესახებ, არც საბჭოთა სახელმწიფო მრეწველობის შეზღუდვის შესახებ. ამას გარდა, აღნიშნული იყო, რომ პორტსმუტის ხელშეკრულების ბევრი ნაწილი უკვე დარღვეულია თვით იაპონიის მთავრობის მიერ. თავისი ფორმალური პოზიციის სისუსტის გამო, იაპონია დაჟინებით ცდილობდა დაეყრდნობოდა აგრეთვე თევზჭერის კონვენციისა და დამატებითი შეთანხმების სათანადო მუხლებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოქმედების ვადა გასულია და ამიტომ ისინი ამიერიდან არავითარ ვალდებულებას არ აკისრებენ საბჭოთა მთავრობას. როდესაც იაპონია დასთანხმდა საჯარო ვაჭრობის სისტემაზე და უარი სთქვა ეგრეთწოდებული სტაბილიზაციის პრინციპზე, საბჭოთა მთავრობა, თავის მხრივ, აკმაყოფილებდა რა მის თხოვნას, დასთანხმდა გამოეცხადებინა საჯარო ვაჭრობა დამატებით, თავისი ამორჩევით, იმ 9 უბნისა, რომელთა საჯარო ვაჭრობით დატოვების საშუალება ეძლეოდათ იაპონელებს.

შეთანხმება მიღწეულ იქნა შემდეგ საფუძველზე:

1. იაპონელებს ის უბნები, რომლებსაც საიჯარო ხელშეკრულების ვადა გაუვიდათ, მხოლოდდამხოლოდ საჯარო ვაჭრობით ეძლევათ.

2. იაპონელებს, სტრატეგიული მოსაზრებებით, ჩამოერთმევათ 37 უბანი, მათ შორის 4 უბანი, რომელიც მიმაგრებულია 2 საკონსერვო ქარხანაზე, ამასთან ეს ქარხნები დაიხურება (იხ. ნოტა № 1).

3. ერთერთი უბანი, რომელსაც იჯარის ვადა მხოლოდ 1941 წელს გაუდის, შეიცვლება საბჭოთა მთავრობის მიერ შეთავაზებული სხვა უბნით, იჯარის იმავე ვადით (№ 2 ნოტის პ. 6).

4. იაპონელთა მიერ საჯარო ვაჭრობით აღებულ უბნებზე საიჯარო ხელშეკრულების ვადიდება, თანახ- [illegible] წლის ვადით, რის საწინააღმდეგოც საბჭოთა მთავრობას თავიდანვე არაფერი არა ჰქონია. (იხ. № 2 ნოტის პ. 1).

5. ის უბნები, რომლებზედაც მიმაგრებულია იაპონელთა მიერ აშენებული საკონსერვო ქარხნები, გარდა 4-სა, იაპონელებს ერთი წლით მიეცემათ საჯარო ვაჭრობის მოუხდენლად, რის საწინააღმდეგოც საბჭოთა მთავრობას არაფერი არა ჰქონია (იხ. № 2 ნოტის პ. 2).

6. 1928 წლის კონვენციისაგან გადახვევით, საბჭოთა მთავრობა თვითონ აწესებს სახელმწიფო მრეწველობის მიერ თევზჭერის ოდენობას, რაც 1939 წლისათვის დაწესებულია 5 მილიონი ფუთის რაოდენობით. (იხ. № 2 ნოტის მუხ. 3).

7. საჯარო ვაჭრობით დამატებით გაიცემა საბჭოთა 9 უბანი. ვინაიდან იაპონელებს მონაწილეობა არ მიუღიათ 15 მარტის საჯარო ვაჭრობაში და ამის გამო საბჭოთა თევზჭერის ორგანიზაციებმა ამ უბნებიდან დაირჩინეს 6 უბანი და, ამას გარდა, 4 უბანი, რომელთა ექსპლოატაციასაც წინათ იაპონელები ეწეოდნენ, — ეს ორგანიზაციები დასთანხმდნენ ყველა ეს უბანი კვლავ დაუთმონ იაპონელებს. (იხ. № 2 ნოტის პ. 4 და 5).

8. ვინაიდან იაპონიის ელჩმა შიში გამოსთქვა, რომ საჯარო ვაჭრობის დროს მეტისმეტად იქნება გადიდებული საიჯარო ქირაო, „დალრიბამ" აცნობა, რომ მას არა აქვს განზრახვა 10%-ზე მეტად გაადიდოს საიჯარო ქირა (იხ. № 2 ნოტა).

იმის გამო, რომ მოლაპარაკების დროს ყველაზე მწვავე და სადავო საკითხები შეეხებოდა საჯარო ვაჭრობის სისტემისაკენ დაბრუნებას, იაპონელებისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული უბნებიდან 37 უბნის ჩამორთმევას და იაპონელთა უბნების სტაბილურობის შესახებ წამოყენებული ყალბი თეორიის გაქარწყლებას, აგრეთვე იმის გამო, რომ საბჭოთა სახელმწიფო თევზის მრეწველობას განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს შორეულ აღმოსავლეთში, დადებული შეთანხმება სავსებით აკმაყოფილებს საბჭოთა მთავრობისა და საზოგადოებრივ წრეებს. (საქდესი).

## ბოლშევიზმის მძლავრი ორგანიზაციული იარაღი

ლენინ-სტალინის პარტიის ახალი წესდება, დამტკიცებული XVIII ყრილობის მიერ, შევიდა მოქმედებაში!

პარტიამ მიიღო ახალი ბასრი ორგანიზაციული იარაღი — პარტიული ცხოვრების ურყევი კანონი. კანონი, რომელშიაც მკვეთრადაა გამოხატული ჩვენს ქვეყანაში მომხდარი კოლოსალური ძვრები და რადიკალური ცვლილებები მოსახლეობის კლასობრივ სტრუქტურაში. კანონი, რომელშიაც კლასიკური სიღრმითაა ასახული გამოცდილებით ბრძენი და უშიშარი პარტიის სიდიადე და უძლეველობა. კანონი, რომელშიაც სტალინური სიზუსტითაა განსაზღვრული ჩვენი პარტიის, როგორც მმართველი პარტიის უაღრესად გაზრდილი როლი სსრ კავშირის განვითარების ახალ ეპოქასთან დაკავშირებით — სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლასთან დაკავშირებით.

სულ რამდენიმე დღეა, რაც პარტიული ორგანიზაციები შეუდგნენ მუშაობას ახალი წესდების საფუძველზე.

რამდენად საგულისხმოა პირველი ნაბიჯები!

პარტიაში მისაღებთა საქმეები, რომლებიც „ზრდის რეგულირების" მოტივებით, ანდა გადაჭარბებული შემოწმების საჭიროების მომიზეზებით, წლობით ეწყო პარტიულ ორგანიზაციებში, უკვე სისტემატური მსჯელობის საგნად გადაიქცა.

ახალი წესდების საფუძველზე თბილისის პარტორგანიზაციებმა და რაიკომებმა უკვე რამდენიმე ასეული ამხანაგი მიიღეს პარტიის წევრებად და წევრობის კანდიდატებად.

პარტიის ახალი წესდების გამოქვეყნებამ მკაფიოდ გვიჩვენა ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანების უდიდესი მისწრაფება—ორგანიზაციულად და იდეურად განამტკიცონ თავიანთი კავშირი ბოლშევიკების პარტიასთან.

პარტიის რაიონულ კომიტეტებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ათეულათასობით მგზნებარე პატრიოტებს შეაქვთ განცხადებანი პარტიაში მიღების შესახებ. პირველადს ორგანიზაციებში აღარ გაისმის წუწუნი რეკომენდატორების მოძებნაზე, მიღების გაფორმების სიძნელეებზე, საკითხების განხილვის გაჭიანურებაზე.

თბილისის კალინინის სახელობის ქარხანაში ამ დღეებში შემოვიდა 12 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის ბიუროში XVIII ყრილობის შემდეგ შემოტანილია 41 განცხადება. მარტო 2 აპრილს შემოტანილ იქნა 15 განცხადება, მაშინ როდესაც მთელი 1938 წლის განმავლობაში პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებული იყო 135 კაცი.

არანაკლებ საგულისხმოა პირველი ნაბიჯები, რომლებიც გადადგეს საწარმოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ადმინისტრაციის მუშაობაზე კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის რამდენიმე საწარმოში უკვე მოისმინეს სამეურნეო მუშაკების მოხსენებანი და დასახეს ღონისძიებანი. სტალინის სახელობის ფეხსაცმლის № 1 ქარხანაში და ტყავის № 1 ქარხანაში (თბილისი) სამეურნეო მუშაობასთან პარტიული მუშაობის სწორმა შეთავსებამ შედეგად მოგვცა საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები, ამ ქარხნებმა მშვენივრად შეასრულეს წინასაყრილობო შეჯიბრებაში აღებული ვალდებულებანი.

საწარმოო პარტორგანიზაციებისათვის კონტროლის უფლების მინიჭებამ თვალსაჩინოთ გაზარდა კომუნისტების პასუხისმგებლობა და მათი ავანგარდული როლი.

სამეურნეო მუშაობასთან პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის შეთავსების მაგალითებს გვიჩვენებს თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაცია, რომელმაც ამ დღეებში სპეციალურად განიხილა ქარხანაში რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარების საკითხი იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად დროულად ახორციელებს ადმინისტრაცია გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქმიან წინადადებებს.

პარტიული ცხოვრების ახალი ურყევი კანონი, რომელიც მოქმედებაში შევიდა, უნდა შეეხოს არა მარტო პარტიაში მიღებისა და ადმინისტრაციის მუშაობისადმი კონტროლის საკითხებს, არამედ მან უნდა მოგვცეს მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მკვეთრი აღმავლობა, საორგანიზაციო მუშაობის შემდგომი გაქანება, შინაპარტიული დემოკრატიზმის კიდევ უფრო გაშლა, გულისხმიერება პარტიის წევრებისადმი, ახალი კადრების გაბედულად დაწინაურება, კომუნისტების იდეურ - თეორიული დონის ამაღლება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა, კომუნისტთა შემოქმედების ზრდა და ა. შ.

ჩვენ შესაძლებლობათა უდიდესი არსენალი გაგვაჩნია იმისათვის, რომ აღვზარდოთ მასები კომუნისტურად. ლენინ-სტალინის პარტიის უდიდესი ძალა მდგომარეობს იმაშიაც, რომ მას შესწევს უნარი აიყვანოს თვითეული მუშა, თვითეული კოლმეურნე, საბჭოთა ინტელიგენტი სახელმწიფოებრივი ამოცანების შეგნების დონეზე.

ნამდვილი კონტროლი საწარმოს მუშაობაზე შესაძლებელია განვახორციელოთ იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტები ღრმად ჩასწვდებიან წარმოების დეტალებს, გულდასმით შეისწავლიან იმ რეზერვებს, რომელთა გამოყენებაც წინ წასწევს წარმოებას, თუ ისინი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდებიან უპარტიო მასებს, თუ „პატარა" საქმეებში დაინახავენ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეებს.

ბოლშევიკური ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ლენინ-სტალინის პარტიის წესდების ყველა მუხლის ბრძნული აზრები განვუმარტოთ პარტიულ მასებს, ნამდვილად აღვჭურვოთ მთელი პარტია ამ იარაღით.

წესდება პარტიული ცხოვრების ურყევი კანონია, რომლის საფუძველზე უნდა წარიმართოს მთელი ჩვენი პარტიის პოლიტიკური მუშაობა, ჩვენი პარტიის შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცება, კომუნისტების იდეური გამოწრთობა, ახალი პარტიული კადრების დაწინაურება, შინაპარტიული დემოკრატიზმის შემდგომი აყვავება.

ბოლშევიზმის ამ მძლავრი ორგანიზაციული იარაღით მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი დროშით პარტია უფრო მჭიდროდ დარაზმავს მასებს მესამე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანათა განსახორციელებლად კომუნიზმის ბრწყინვალე გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

## აეროსტატ „სსრ-ვრ-75"-ის ხანგრძლივი გაფრენა

2 აპრილს დღისით სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ცალკეული საჰაერონაოსნო ჯგუფის მოედნიდან ხანგრძლივი სავარჯიშო ფრენის ჩასატარებლად გავიდა 900 კუბმეტრის მოცულობის აეროსტატი „სსრ-ვრ-75". საჰაერო ბურთობზე იმყოფებიან პილოტები ამხ. ზინოვიევი და მანცევიჩი.

აერონავტებს დავალებული აქვთ ფრენის მსვლელობის შესახებ ცნობები მოგვაწოდონ ალმების საშუალებით. 3 აპრილს, 16 საათზე, აეროსტატი ისევ ჰაერში იმყოფებოდა. (საქდესი).

## სამთო კომბაინის გამოცდა

**ვოროშილოვგრადი**, 3 აპრილი (საქდესი). ტრესტ „სერგოუგოლის" ძერჟინსკის სახელობის № 12 შახტზე სწარმოებს ორდენოსანი ინჟინრის სერდიუკის სისტემის „ს-24" სამთო კომბაინის საცდელი ეგზემპლარის გამოცდა.

კომბაინი წარმოადგენს მძლავრ საჭრელ მანქანას, რომლის მოტორის სიმძლავრე დაახლოებით 60 კილოვატს უდრის. იგი მომარაგებულია ამრიდი ბარით და ტრანსპორტიორით კონვეიერზე ქვანახშირის დასატვირთავად.

გამოცდამ დადებითი შედეგები გამოიღო. 1 მეტრი სიმძლავრის, ქანზე, თუ შეთხრილი ყულის სიღრმე ერთნახევარ მეტრს უდრის, კომბაინს ერთ საათში შეუძლია გამონგრიოს და დატვირთოს 50 ტონა ქვანახშირი, ხოლო ცვლაში — 300 ტონა. 60 მეტრი სიგრძის ლავაში 2 საათის მუშაობით კომბაინი სრულ ციკლს აკეთებს.

სერიული კომბაინის ნაყოფიერება ადვილად შეიძლება გაიზარდოს 500 ტონა ქვანახშირამდე ცვლაში, თუ მისი მოძრაობის სიჩქარეს გავადიდებთ და ამრიდ ბარს გავაგრძელებთ.

## ახალი სამხედრო-სამედიცინო აკადემია

კუიბიშევში სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე იქმნება მუშურ-გლეხური წითელი არმიის კუიბიშევის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. უახლოეს დროში დაიწყება ახალი აკადემიის დაკომპლექტება მსმენელებით.

კუიბიშევის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში მეცადინეობა დაიწყება 1939 წლის 1 სექტემბერს.

## ვ. შექსპირის დაბადების 375 წლისთავი

უცხოური ლიტერატურის ცენტრალური ბიბლიოთეკა მოსკოვში 20 აპრილიდან აწყობს ვილიამ შექსპირის დაბადების 375 წლისთავისადმი მიძღვნილ ათდღიურს. ბიბლიოთეკაში წაკითხულ იქნება ლექციები თემებზე: „შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება", „შექსპირის ჰუმანიზმი", „შექსპირის ტრაგედიები", „შექსპირი და საბჭოთა კულტურა". მზადდება დიდი გამოფენა — „შექსპირის მსოფლიო მნიშვნელობა". (საქდესი).

## კომკავშირელ ნიკოლოზ გრიგორიევის გმირობა

**ვოლხოვსტროი** (ლენინგრადის ოლქი), 3 აპრილი. ვოლხოვის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი კუსტარში" ხალხის მტერმა, რომელიც კოლმეურნის ნიღაბს იყო ამოფარებული, ცეცხლი წაუკიდა კოლმეურნეობის ბაკს, სადაც იმყოფებოდა 40 ცხენი და 29 ძროხა. ცეცხლი სწრაფად მოედო მთელ შენობას. როდესაც ხანძრის ადგილას კოლმეურნეებმა მიირბინეს, იმ სადგომში, სადაც პირუტყვი იმყოფებოდა, შესვლა უკვე შეუძლებელი იყო: გიზგიზებდა სახურავი, ალში იყო გახვეული შესასვლელი კარი.

კომკავშირელმა კოლმეურნემ ნიკოლოზ გრიგორიევმა, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, გამოჰგლიჯა ჩარჩო, გადახტა ცეცხლში და მოექცა შენობის შიგნით. რამდენიმე წუთი დაძაბული ლოდინის შემდეგ კოლმეურნეებმა დაინახეს, როგორ გაიღო შიგნიდან ჩაკეტილი სათადარიგო კარი და იქიდან გამოვარდნენ ცხენები და ძროხები. ნიკოლოზ გრიგორიევმა გადაარჩინა 44 სული პირუტყვი. (საქდესი).

## საქართველოს სსრ პავილიონი სას.-სამ. გამოფენაზე

**მოსკოვი** (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). თბილისიდან მოსკოვში ჩამოვიდა თვითნასწავლი მხატვრებისა და ჩუქურთმის ოსტატების ჯგუფი. ისინი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ხალხთა პავილიონის გაფორმებაში. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საქართველოს პავილიონის გაფორმება, რომელსაც ხელმძღვანელობს პავილიონის მთავარი მხატვარი სიდამონ-ერისთავი.

პავილიონში იქმნება მხატვრული დიორამა თემაზე: „კოლხიდის აღორძინება". პავილიონ „საქართველოს" საერთო ხედი მოიწონეს სხვადასხვა კოლმეურნეობათა დელეგაციებმა, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში დაათვალიერეს მუშაობის მიმდინარეობა გამოფენის ტერიტორიაზე, მათ შორის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ორდენოსან ამხ. ოვჩარენკოს ჯგუფმა პოლტავის ოლქის კიროვის სახელობის კოლმეურნეობიდან და მორდვის რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეების ჯგუფებმა. საგამოფენო კომიტეტის სპეციალურმა ბრიგადამ სინათლის ერთერთი თვალსაჩინო ტექნიკოსის პროფესორ მაიზელის მონაწილეობით დაამუშავა გამოფენის განათების გეგმა.

გამოფენის ტერიტორია ღამეობით უხვად იქნება განათებული. 2000-მდე სხვადასხვა კონსტრუქციის ნათურები და მძლავრი პროჟექტორები, ლითონის ანძები ნათურების მტევნებით, ურიცხვი შადრევნები, განათებულნი პროჟექტორებით, ხეივნები სინათლის დაფარული წყაროებით შექმნიან სინათლის უმშვენიერეს ჰამმას. მარტო მთავარი პავილიონის გასანათებლად საჭირო იქნება 200 კილოვატი ელექტრო-ენერგია.

7 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის შენობაში მოწვეულია თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

დღის წესრიგი:

**საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები და სარევიზიო კომისიის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით. დანარჩენი ამხანაგები კი პარტიის რაიკომების მიერ გაცემული საშვები ბარათებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტი



თელავი. მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტნაწილში ამხ. დ. ვ. დვალიშვილი მტს-ის მუშაკებს უკითხავს ამხანაგ სტალინის მოხსენებას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე. საქდესის ფოტოქრონიკა

## უკანასკნელი ცნობები

## ისმეთ ინენიუ ხელახლა აირჩიეს თურქეთის პრეზიდენტად

**ანკარა**, 4 აპრილი (საქდესი). ანატოლიის სააგენტოს ცნობით თურქეთის მეექვსე მოწვევის ახალმა პარლამენტმა მუშაობა დაიწყო. პარლამენტმა სხდომაზე დამსწრე 413 დეპუტატის ხმით ხელახლა აირჩია ერთხმად ისმეთ ინენიუ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

## თურქეთის ახალი მთავრობა

**ანკარა**, 4 აპრილი (საქდესი). როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელახლა არჩევის შემდეგ მინისტრთა კაბინეტი კონსტიტუციის თანახმად გადადგა. ახალი მთავრობა ჩამოყალიბებულია, როგორც წინათ, რეფიკ საიდამის მეთაურობით. ყველა ძველი მინისტრი თავის პოსტზე დარჩა. გარდა ამისა, შექმნილია ორი ახალი სამინისტრო — გზათა სამინისტრო და ვაჭრობის სამინისტრო.

# ხალხთა სტალინური მეგობრობა

### 3 აპრილის „პრავდის" პრესის მიმოხილვა

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის არტელ „შრომის" კოლმეურნეებმა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" საშუალებით გულთბილი, მეგობრული წერილით მიმართეს საბჭოთა უკრაინის კოლმეურნეებს. ისინი უამბობდნენ მათ ქართველი გლეხობის მძიმე რევოლუციამდელ ხვედრზე რუსეთისა და ადგილობრივი ბურჟუაზიის ორმაგი ჩაგვრის ქვეშ. უზიარებდნენ რა საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობის გამოცდილებას, ისინი სწერდნენ თავიანთ დღევანდელ [illegible], შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებაზე საბჭოთა რესპუბლიკების [illegible] თანაარსებობაში, თავისუფალ მზიან საქართველოში.

როდესაც ეს წერილი წაიკითხეს დნეპროპეტროვსკის (ამჟამად ზაპოროჟიეს) ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის არტელის [illegible]

[illegible] მაღალი მოსავლისათვის, ჩვენი მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის... ჩავებათ შეჯიბრებაში".

გამოწვევა მიღებულ იქნა. შეჯიბრების მსვლელობაში ორი მოძმე რესპუბლიკის ამ და მრავალი სხვა კოლმეურნეობების კოლმეურნეები, კოლმეურნე-ქალები, კომბაინერები, აგიტატორები და აგრონომები სწერდნენ ერთმანეთს წერილებს, უზიარებდნენ გამოცდილებას, აცნობდნენ ერთმანეთს მომავლის გეგმებს.

შეთანხმებული მუშაობით ქვეყანა შეეგება მოსავლის აღებას. დადგა ჟამი საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეთა შორის შეჯიბრების პირველი შედეგების შეჯამებისა. მეგობრული მიწერ-მოწერის ინიციატორებმა — არტელ „შრომას" წევრებმა — მოიწვიეს უკრაინელები საქართველოში. ამავე დროს ჩამოვიდნენ სომხეთის კოლმეურნეთა წარმომადგენლებიც.

ეს შესანიშნავი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სამი რესპუბლიკის მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები, შესდგა საბჭოთა ხალხების მეგობრობის დიადი შთამგონებლის სამშობლოში — ქალაქ გორში. იქიდან ისინი სწერდნენ ამხანაგ სტალინს:

**„... ჩვენ მაგრად ვართმევთ ხელს ერთმანეთს, გულთბილად ვსაუბრობთ, ვუზიარებთ ერთმანეთს მუშაობის გამოცდილებას.**

**ნათესავებზე უფრო მახლობლები ვართ ერთმანეთისათვის.**

**ხომ იყო დრო, როდესაც გლეხებს, რუსეთის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა ეროვნების მშრომელებს ოცნებაც არ შეეძლოთ ამგვარი შეხვედრის შესახებ. მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო..."**

სოფელ შრომის კოლმეურნეობის წევრთა და სტალინის სახელობის უკრაინული კოლმეურნეობის წარმომადგენელთა გაერთიანებულ კრებაზე გადაწყდა სოციალისტური შეჯიბრების განგრძობა 1939 წელშიაც. ხელშეკრულების პირობებში შეტანილ იქნა ორივე მხრის ვალდებულება უფრო ფართოდ გაშალონ კოლმეურნეობებში მასობრივი თავდაცვითი მუშაობა.

უკრაინის დელეგაციამ დასდო შეჯიბრების მთელი რიგი ხელშეკრულებები სხვადასხვა კოლმეურნეობებთან, ინახულა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი, გამოვიდა „ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე თავისი შთაბეჭდილებებისა და თავისი კოლმეურნეობების ცხოვრების შესახებ, რის შემდეგ დაბრუნდა კიევში. აქ რესპუბლიკური გაზეთის „სოვეტსკაია უკრაინას" ფურცლებზე დელეგატები გამოვიდნენ წერილებით ხალხთა სტალინური მეგობრობის შესახებ, იმის შესახებ, რაც მათ ნახეს მზიან საქართველოში. დელეგაციის ხელმძღვანელი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. კლიმენკო სხვათაშორის, სწერდა:

**„ჩვენი გამგზავრება იყო ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობის მძლავრი დემონსტრაცია.** [illegible]

**[illegible] დაიცვან საბჭოთა საქართველოს საზღვრები, ისევე, როგორც საქართველოს ადამიანები მზად არიან დაიცვან უკრაინის საზღვრები, დიადი სამშობლოს საზღვრები".**

სამშობლოში დაბრუნების რამდენიმე დღის შემდეგ უკრაინის დელეგაცია მიიღეს უკრაინის კ. პ. (ბ) და უკრაინის სსრ მთავრობის ხელმძღვანელებმა, რაზედაც ერთდროულად იმავე დროს სწერდნენ გაზეთები „სოვეტსკაია უკრაინა" და „ზარია ვოსტოკა". ხუთიოდე დღის შემდეგ კი უკრაინის და საქართველოს რესპუბლიკური გაზეთების მკითხველებმა გაიგეს, რომ უკრაინის დელეგატები გამოდიან ქარხნებში და კოლმეურნეობებში ანგარიშებით თავიანთი მგზავრობის შესახებ, დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკობენ ხალხთა სტალინური მეგობრობის შესახებ.

... უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნეთა შეჯიბრება სულ უფრო-და-უფრო ფართოვდება, უფრო-და-უფრო მტკიცდება. განუწყვეტლივ სწარმოებს მეგობრული მიწერ-მოწერა, ვითარდება გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა. შეჯიბრების ინიციატორებს უკვე ჰქონდათ შესაძლებლობა ერთხელ კიდევ ეცნობებინათ ერთმანეთისათვის მიღწეული წარმატებების შესახებ. მთავრობამ **სტალინის** სახელობის კოლმეურნეობა [illegible] დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი — **ლენინის** ორდენით. და ეს სასიხარულო ამბავი ქართულ სოფელ შრომის კოლმეურნეებმა იზეიმეს, როგორც საკუთარი დღესასწაული. ისინი აპირებენ საქართველოს სხვა კოლმეურნეობათა წარმომადგენლებთან ერთად პირველი მაისის დღეებში ჩავიდნენ უკრაინაში და უამბონ იქ თავიანთ მიღწევებზე.

ორი რესპუბლიკის კოლმეურნეთა შესანიშნავ ინიციატივას მხარი დაუჭირეს მაღაროელებმა. სტალინური კონსტიტუციის მეორე წლისთავის ზეიმის დღეებში „ორჯონიკიძექვანახშირის" ტრესტის მაღაროების კოლექტივმა შეჯიბრებაში გამოიწვია „ტყიბულქვანახშირის" ტრესტის სტახანოველები, მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები.

წერილში, რომელიც 13 ათასმა კაცმა განიხილა, ნათქვამი იყო:

**„დაე ჩვენმა შეჯიბრებამ შემდგომ განამტკიცოს ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობა, დაე იგი იქცეს ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდების, საბჭოთა კავშირის ქვანახშირის ყველა მუშაკთა მუშაობის გაუმჯობესების დაუშრეტელ წყაროდ".**

მეორე დღეს ვოროშილოვგრადის ოლქის სერგოვსკის რაიონის კიროვის სახელობის № 22-6 და № 77 მაღაროების კოლექტივებმა გამოიწვიეს შეჯიბრებაში „ტყვარჩელქვანახშირის" მაღაროელები.

**„ძვირფასო ამხანაგებო, „ტყვარჩელქვანახშირის" მაღაროელებო"!** — სწერდნენ ვოროშილოვგრადელები. — **დავიწყოთ შეჯიბრება ახალი გამარჯვებებისათვის ქვანახშირის ფრონტზე.**

**დაე უფრო აყვავდეს უკრაინელი და ქართველი ხალხების სტალინური მეგობრობა!".**

„ტყიბულქვანახშირის" და „ტყვარ- [illegible]

[illegible] გადაიქცა მოძმე რესპუბლიკების — უკრაინისა და საქართველოს ხალხთა შორის ურყევი მეგობრობის ახალ მკაფიო დემონსტრაციად.

„ამ თარიღს, — სწერდნენ გაზეთ „სოვეტსკაია უკრაინაში" ქართველი პოეტები ა. მაშაშვილი და ს. ჩიქოვანი, — **ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს, როგორც მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთა კულტურების სასიხარულო დღესასწაულს".**

საქართველოს მწერლებმა, პოეტებმა, ყველა მშრომელებმა განსაკუთრებული გულთბილობით გამოსთქვეს თავისი სიყვარული დიდი რევოლუციონერი მწერლისადმი.

„ჩვენ, — ამბობდა თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი ამხ. კაპიანიძე, — **სიყვარულით ვიგონებთ შევჩენკოს სახელს, რომელიც ებრძოდა მეფის თვითმპყრობელობას, შავ რეაქციას, ისევე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი საყვარელი პოეტები ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი".**

მოძმე რესპუბლიკების შეჯიბრებაში ებმებიან მშრომელთა ახალ-ახალი რაზმები. კიევის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებმა სოციალისტური ხელშეკრულება დასდეს თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებთან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსათასიანი კოლექტივი ჩაბმულია შეჯიბრებაში კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. უკრაინის მოსწავლეები — საქართველოს მოსწავლეებთან. გაიბა მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი საქართველოსა და უკრაინის კომპოზიტორებს შორის, ორივე რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს შორის.

იზრდება და მტკიცდება დიადი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურყევი მეგობრობა — ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შესანიშნავი შედეგი.

უკრაინის და საქართველოს პრესის მოვალეობაა კიდევ უფრო მკაფიოდ, კიდევ უფრო ფართოდ გააშუქოს ეს შესანიშნავი შეჯიბრება.

**ლ. ლოლაძე**

# ფართოდ გავშალოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება



თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის სკოლის სტახანოველმა გ. აზარიაშვილმა, რომელმაც წინასაყრილობო შეჯიბრებაში აღებული ვალდებულება 157 პროცენტით შესრულა, აიღო ახალი ვალდებულება — გეგმის 170 პროცენტით შესრულების შესახებ.

საქდესის ფოტოქრონიკა

## ჭიათურის მაღაროელები ჩაებნენ შეჯიბრებაში

(ჭიათურა, საკ. კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინადადებას მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო შეჯიბრების მოწყობის შესახებ უდიდესი სიხარულითა და ახალი საწარმოო ვალდებულებათა აღებით შეხვდნენ ჭიათურის მაღაროელები.

3 აპრილს ფაბრიკა-მაღაროებში შესდგა სახელდახელო მიტინგები. მიტინგს ლენინის სახელობის მაღაროში 400-ზე მეტი კაცი დაესწრო. მაღარომ იკისრა წლიური გეგმის 20 დეკემბრისათვის შესრულება და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კაგანოვიჩის სახელობის მაღარო. ჩაებნენ რა შეჯიბრებაში, სტახანოველებმა ნ. კაპანაძემ, ი. ასანიძემ, ს. გოგატიშვილმა, გ. ცუცქირიძემ და სხვ. იკისრეს ყოველდღიური ვალდებულებების 200 პროცენტით შესრულება.

ბერიას სახელობის მაღაროში შეჯიბრებაში ჩაებნენ უბნები, ცვლები და ცალკეული ბრიგადები. ი. ლაბაძემ, შ. კუპატაძემ, დ. ქუთათელაძემ, ი. გოცაძემ და სხვ. იკისრეს შეასრულონ არანაკლებ ორი ნორმისა.

ასევე შეჯიბრებაში ჩაებნენ სტალინის სახელობის, ვოროშილოვის სახ., დიმიტროვის სახ., ორჯონიკიძისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროები და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი მიმდინარე წლის გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად.

**ლ. ლოლაძე**

## „წლიურ საწარმოო გეგმას 20 ნოემბრისათვის შევასრულებთ"

3 აპრილს, დილის შესვენებისას, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის საამქროებში შესდგა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მიტინგები, რომლებზეც განიხილეს მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინადადება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

მიტინგები შესდგა ქარხნის ყველა 23 საამქროში. მიტინგებს 3.000-ზე მეტი კაცი დაესწრო. გამოსულ ორატორ-მუშათა რიცხვი ას კაცს აღემატება.

ბელადის სახელობის ქარხნის მუ- [illegible]

სახელით აიღო ვალდებულება—მიმდინარე წლის ყოველთვიური საწარმოო გეგმები შეასრულოს 250-300 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 10 პროცენტით.

იმავე საამქროს ბრიგადირმა ამხ. აბრამოვმა აიღო ვალდებულება თვიური საწარმოო გეგმის 200 პროცენტით შესრულებისა და პროდუქციის თვითღირებულების 15 პროცენტით შემცირების შესახებ.

კომკავშირულ კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. მ. იაგორაშვილმა მიტინგზე განაცხადა, რომ მისი ბრიგადა კისრულობს წლიური საწარმოო გეგმის შესრულებას 20 [illegible]

[illegible] ღირებულების შემცირების გეგმები.

აჭყობი საამქროს ბრიგადირმა ამხ. ივ. მსხალაიამ თავისი ბრიგადის [illegible] ხელს შეუწყობს მუშებს ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებაში.

## თბილისის ლითონ-კონსტრუქციის ქარხნის გამოძახილი „კრასნი პროლეტარის" მოწოდებაზე

მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა წინადადებამ ერთსულოვანი გამოძახილი ჰპოვა თბილისის ლითონ-კონსტრუქციის ქარხნის მუშაკთა შორის ამ რამდენიმე დღის წინათ ჩატარებულ მიტინგზეც.

ქარხნის კოლექტივმა ერთხმად მიიღო მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" წინადადება, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის კალინინის სახელობის ქარხანა და თავის მხრივ აიღო შემდეგი კონკრეტული ვალდებულებანი:

1. 1939 წლის საერთო პროდუქციის გეგმა შესრულებულ იქნას 5 დეკემბრისათვის;
2. აპრილში ათვისებულ იქნას საწვავი მასალის კასრების გამოშვება, რათა მეორე კვარტალის განმავლობაში გამოშვებულ იქნას 4.500 ცალი კასრი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.500 ცალისა;
3. ნავთის ნაწარმის ჭურჭლის გამოშვების წლიური გეგმა შესრულებულ იქნას 1 დეკემბრისათვის;
4. ერთი მუშის წლიური გამომუშავება, რომელიც გეგმით გათვალისწინებულია 26.114 მანეთის რაოდენობით, აყვანილ იქნას 28.000 მანეთამდე, ანუ შრომის ნაყოფიერება გაზრდილ იქნას 7,3 პროცენტით;
5. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულ იქნას 8 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 პროცენტისა;
6. ელექტროენერგიის ხარჯვა ერთ ტონა გამოშვებულ ნაწარმზე დაყვანილ იქნას 100 კილოვატსაათამდე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 105 კილოვატსაათისა;
7. გეგმით გათვალისწინებული 860.000 მანეთის დაგროვების ნაცვლად, მისცეს ჩვენს ქვეყანას ერთი მილიონის დაგროვება ანუ გადააჭარბოს გეგმას 140.000 მანეთით.

ქარხნის დირექტორმა ამხ. ი. უსოვმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კალინინის სახელობის ქარხნის დირექტორი, მთავარმა ინჟინერმა ამხ. ს. ხიტარიშვილმა კი კალინინის სახელობის ქარხნის მთავარი ინჟინერი. ქარხნებს შორის სოციალისტური შეჯიბრების არბიტრებად დასახელებულია საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი და გაზეთი „კომუნისტი".

## მხარშავების ამხ. ესებუას და ოსიპოვის სტახანოვური ინიციატივის ნიმუშები

**ზუგდიდი,** (საქდესი). აქტიურად მონაწილეობდა რა წინასაყრილობო შეჯიბრებაში, ინგურქაღალდკომბინატის ცელულოზის ფაბრიკის კოლექტივმა დიდ საწარმოო წარმატებებს მიაღწია. შეჯიბრებაში ჩაბმამდე ერთი ქვაბი მასის მოხარშვას 15-16 საათი სჭირდებოდა (გრაფიკით გათვალისწინებული იყო 15 საათი). უფროსი მხარშავი სტახანოველი ამხ. ესებუა გამოვიდა დასაბუთებული წინადადებით—11 საათ. 30 წუთამდე შეემცირებინათ ერთი ქვაბი მასის მოხარშვის დრო, და ამ წინადადების განხორციელება იკისრა. ამხ. ესებუამ ღირსეულად შეასრულა თავისი ვალდებულება. მან ერთი ქვაბი მასა სწორედ 11 ს. 30 წუთის განმავლობაში მოხარშა.

მეორე უფროსმა მხარშავმა სტახანოველმა ამხ. ოსიპოვმა ამხ. ესებუას მეთოდი გამოიყენა, და უფრო უკეთესი დრო — 10 საათი გვიჩვენა.

ამხ. ესებუა და ოსიპოვი მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და პირობას იძლევიან, რომ ერთი ქვაბი მასის მოხარშვის დროს 9 საათამდე დაიყვანენ.

## მაღაროელთა საქმიანი პასუხი

(ტყიბული, ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო შეჯიბრება ტყიბულის მაღაროებში ახალი საწარმოო ენტუზიაზმით დაიწყო.

ლენინის სახელობის მაღაროში ქვანახშირის ნგრევის სტახანოველები: დ. გვენეტაძე, ა. ბაბუხადია და ლ. ცქიფურიშვილი სასახელოდ ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს.

დ. გვენეტაძემ 1-3 აპრილს მოანგრია 174 ტონა ქვანახშირი—დავალების 220%. ამავე სამ დღეში ქვა- [illegible]

[illegible] ყრილობის დელეგატმა მნგრეველმა შ. ფურცხვანიძემ, რომელმაც პირველ აპრილს დავალება 209 პროცენტით შეასრულა. ფურცხვანიძემ დღიური დავალების შესრულება 4 აპრილს 270 პროცენტამდე აიყვანა.

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება ყოველდღიურად ფართოვდება.

**დ. საგელაშვილი**

## სტახანოველთა ახალი ვალდებულებანი

თბილისის კამოს სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად ჩაება სტალინური მესამე ხუთწლედის სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში. მიტინგზე, რომელიც მიძღვნილი იყო წითელ პროლეტარელების მოწოდების განხილვისადმი, ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს ვალდებულება, რომ წლიურ გეგმას შეასრულებენ 5 დეკემბრისათვის, ხოლო აპრილში გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ „ტვ—180" და „ტვ—20" ტიპის 15 ახალ დაზგას.

ქარხნის ცალკეულმა სტახანოველებმა იკისრეს დიდი ვალდებულებანი.

მექანიკური საამქროს სტახანოველმა ხარატმა ამხ. მ. ტიმოშჩუკმა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა წინასაყრილობო შეჯიბრებაში და რომელმაც თებერვლის გეგმა 717 პროც. შეასრულა, იკისრა ვალდებულება, რომ შემდგომ მუშაობაში უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევს. სტახანოველი ხარატი ამხ. ი. ვასილიევი პირობას იძლევა — აპრილის გეგმა შეასრულოს 400 პროც., ხოლო წლიური გეგმა — არანაკლებ 350 პროც. დიდი ვალდებულებები იკისრეს სტახანოველებმა ამხ. იტრიევმა, მ. კუზმინმა და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. (საქდესი).

**პ. პოლიაკოვი**

# ახალი მსოფლიო ეკონომიური კრიზისის თავისებურებანი

პარტიის XVIII ყრილობაზე თავის ისტორიულ მოხსენებაში, რომელსაც მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ანალიზი ახალი ეკონომიური კრიზისისა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ჯერ კიდევ პარტიის XVII ყრილობაზე, რომელიც 1934 წლის იანვარში სწარმოებდა, ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ იმ დროისათვის კრიზისმა, რომელიც 1929 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, უკვე გაიარა უდიდესი დაცემულობის წერტილი და რომ კაპიტალიზმი შევიდა დეპრესიის ხანაში, მაგრამ ეს ხანა არ გამოიწვევს მრეწველობის რამდენადმე მნიშვნელოვან აღმავლობას კაპიტალისტურ ქვეყნებშიო. ამხანაგ სტალინის პროგნოზი მთლიანად გამართლდა.

პარტიის XVII ყრილობის დროიდან განვლილი წლები კაპიტალიზმისათვის იყო წლები დეპრესიისა, შემდეგ ერთგვარი გამოცოცხლებისა, რის შემდეგ დაიწყო ახალი კრიზისი და მრეწველობის დაცემა.

კაპიტალისტური სისტემა განიცდის საერთო კრიზისს, „როდესაც კაპიტალიზმს უკვე აღარა აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს არც ძირითად სახელმწიფოებში, არც კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ის ძალა და სიმტკიცე, რაც მას ჰქონდა ომამდე და ოქტომბრის რევოლუციამდე, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობამ იმპერიალისტური ომისაგან მემკვიდრეობად მიიღო საწარმოო ქრონიკული დაუტვირთველობა და უმუშევართა მილიონიანი არმიები, რომელთაგან განთავისუფლება მას აღარ ძალუძს" (სტალინი. „ლენინიზმის საკითხები", გვ. 637, ქართ. გამ.).

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ 1929-33 წლების კრიზისი აღმოჩნდა ყველაზე ღრმა, ყველაზე ხანგრძლივი და სერიოზული კრიზისი კაპიტალიზმის ისტორიაში. 1929 წლის კრიზისი 3½ წელს გრძელდებოდა; მან უფრო მეტად შეარყია კაპიტალისტური სისტემა და გამოიწვია კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გამწვავება.

1929 წლიდან მრეწველობის ქრონიკულმა დაუტვირთველობამ და მასობრივმა ქრონიკულმა უმუშევრობამ კიდევ უფრო იმატა. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კაპიტალიზმის ამ წამყვან ქვეყანაში, ფოლადის მრეწველობის დაუტვირთველობა, რაც 1929 წელს 89 პროც. შეადგენდა, 1937 წელს შემცირდა 72 პროცენტამდე. ეს ფაქტები ამომწურავი სიცხადით მოწმობენ, რომ 1929 წლიდან კაპიტალიზმის საერთო კრიზისი უფრო ძალიან გამწვავდა.

ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVIII ყრილობაზე დაწვრილებით გააშუქა ახალი ეკონომიური კრიზისის განმასხვავებელი ნიშნები. „ახალი კრიზისის დამახასიათებელი თავისებურება, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბევრად განსხვავდება წინანდელი კრიზისისაგან, ამასთან განსხვავდება არა უკეთესი მხრით, არამედ უარესი მხრით".

ახალი კრიზისის პირველი განსხვავება წინანდელისაგან მდგომარეობს იმაში, რომ მრეწველობა არა ჰყვავოდა ახლანდელი კრიზისის დადგომამდე. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მრეწველობის პროდუქცია 1937 წელს 8 პროც. უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1929 წელს, საფრანგეთში — 17,2 პროც. ნაკლები, პოლონეთში — 15 პროც., ჰოლანდიაში — 9 პროც., ბელგიაში — 6 პროც. ნაკლები. კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მრეწველობის პროდუქციამ მიაღწია ან ცოტათი გადააჭარბა 1929 წლის დონეს, ეს მოხდა შეიარაღებათა წარმოების ძლიერი ზრდის შედეგად და არა მრეწველობის აყვავების შედეგად.

„ეს ნიშნავს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ ახლანდელი კრიზისი უფრო მძიმე იქნება და მასთან ბრძოლა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე წინანდელ კრიზისთან".

თანამედროვე კრიზისის მეორე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იგი აღმოცენდა მსოფლიოს გადანაწილებისათვის დაწყებული მეორე იმპერიალისტური ომის პირობებში. ომს დეზორგანიზაცია შეაქვს კაპიტალიზმისათვის მეტისმეტად მნიშვნელოვან ჩინეთის ბაზარში, რაც განსაკუთრებით ძლიერ დაეტყო ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობას.

ომმა გამოიწვია ის, რომ მისმა დამწყებებმა — იაპონიამ, გერმანიამ და იტალიამ — თავისი მეურნეობა სამხედრო რეჟიმზე გადაიყვანეს. აგრესორი ქვეყნების მატერიალური რესურსების უფრო და უფრო დიდ წილს ნთქავს შეიარაღებათა წარმოება, სულ უფრო ნაკლები წილი რჩება მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს შეიარაღებათა წარმოებაზე მომუშავე მუშათა რიცხვი ძლიერ იზრდება, მაშინ როდესაც ფართო მოხმარების საგნების წარმოებაზე მომუშავე მუშათა რიცხვი მკვეთრად ეცემა. ასეთმა მდგომარეობამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს შემდგომი უმძაფრესი ეკონომიური კრიზისი აგრესორ ქვეყნებში.

იაპონიის, იტალიისა და გერმანიის შემდეგ თავიანთი მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გადაკეთების გზას დაადგნენ სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიც.

„ეს ნიშნავს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ კაპიტალიზმს ახლანდელი კრიზისიდან ნორმალური გამოსვლისათვის გაცილებით ნაკლები რესურსები ექნება, ვიდრე წინანდელი კრიზისის პერიოდში".

წინანდელი კრიზისისაგან მესამე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ახლანდელი კრიზისი ჯერჯერობით ყველაზე მეტად შეეხო ეკონომიურად ძლიერ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან სამხედრო ეკონომიკის რელსებზე, — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს, სადაც წარმოების დაცემამ უკანასკნელ წელს უკვე მნიშვნელოვან ფარგლებს მიაღწია. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1938 წელს მრეწველობის პროდუქცია დაეცა 20,2 პროცენტით 1937 წელთან შედარებით, ინგლისში — 11,7 პროც., საფრანგეთში — 12,8 პროც., ხოლო ბელგიაში — 27 პროცენტითაც კი 1937 წლის დონეზე ქვევით.

იაპონიასა და იტალიაში სამრეწველო წარმოების დაცემა უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ხოლო გერმანიაში 1938 წელს ადგილი ჰქონდა პროდუქციის ერთგვარ ზრდასაც კი. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ნედლეულისა და ოქროს მარაგის გამოფიტვასთან ერთად აგრესიულ ქვეყნებში ძლიერ დაჩქარდება წარმოების დაცემა. იმავე დროს ეს დაგვიანება აუცილებლად გამოიწვევს კრიზისის გაჭიანურებას აგრესიულ ქვეყნებში და გააძნელებს კრიზისიდან გამოსვლას მთელი კაპიტალისტური სამყაროსათვის.

ახალი ეკონომიური კრიზისი მეტისმეტად აუარესებს მთელი კაპიტალისტური სამყაროს მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობას. უმუშევართა რიცხვი 1937 წლის 14 მილიონიდან გაიზარდა 18 მილიონამდე 1938 წელს და კვლავ იზრდება.

განსაკუთრებით ძლიერ გაუარესდა კოლონიური ხალხების მდგომარეობა იმის გამო, რომ მკვეთრად დაეცა ფასები იმ საქონლისა, რომელსაც კოლონიები აწარმოებენ და რომლის მოთხოვნილებაც კლებულობს სამრეწველო კრიზისის გამწვავების მიხედვით.

აგრარული და კოლონიური ქვეყნების ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობისათვის დამახასიათებელია ექსპორტის მკვეთრი დაცემა. მაგალითად, არგენტინის ექსპორტი 1938 წელს დაეცა 41 პროცენტით 1937 წელთან შედარებით, რუმინეთისა — 34 პროც., სამხრეთ აფრიკისა — 30 პროც., ჰოლანდიის ინდოეთისა — 29 პროც., ეგვიპტისა — 28 პროც., ბრიტანეთის ინდოეთისა — 24 პროც. და სხვ. ექსპორტის უდიდესმა დაცემამ გამოიწვია მკვეთრი შემცირება ამ ქვეყნების მოთხოვნილებისა სამრეწველო საქონელზე, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გააძლიერებს სამრეწველო კრიზისს.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა აგრესიული ქვეყნების — იაპონიის, იტალიისა და გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის ღრმა ანალიზი.

ამ ქვეყნების ეკონომიური სისუსტე თავის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას ღებულობს ხილვადი ოქროს მარაგის უკიდურეს სიმცირეში. იაპონიის, იტალიისა და გერმანიის ოქროს მარაგი, ერთად აღებული, უფრო ნაკლებია, ვიდრე მარტო შვეიცარიის ოქროს მარაგი. ოქროს მარაგის სიმცირემ უკვე აიძულა იაპონია და იტალია 1938 წელს მკვეთრად შეემცირებინათ ნედლეულის იმპორტი, რამაც ამ ქვეყნებში გამოიწვია მრეწველობის მრავალი იმ დარგის პროდუქციის დაცემა, რომლებიც შეზიდულ ნედლეულზე მუშაობენ.

ნედლეულის მწვავე ნაკლოვანებამ გამოიწვია ის, რომ იაპონიაში დაიხურა ათიათასობით წვრილი საწარმო. ასიათასობით მუშები გამოყრილია ქუჩაში. ამასთან უმუშევრები გახდნენ ამ საწარმოთა მფლობელებიც. იაპონიის მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი დარგების დიდი საწარმოებიც განიცდიან ნედლეულის უფრო და უფრო მწვავე ნაკლებობას და იძულებული არიან გადავიდნენ არასრულ სამუშაო კვირაზე, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში სრულიადაც შეაჩერონ მუშაობა.

იტალიაში ნედლეულის მწვავე ნაკლებობამ გამოიწვია წარმოების დაცემა მრეწველობის მრავალ დარგში, განსაკუთრებით საფეიქრო დარგში, რომლის პროდუქცია უკანასკნელი თვეების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა.

არასრულ სამუშაო კვირაზე გადასვლა სულ უფრო ხშირი მოვლენა ხდება, რის შედეგადაც, ოფიციალური ცნობებითაც კი, ნაწილობრივი უმუშევრობა 1937 წლის 16 პროცენტიდან გაიზარდა 27 პროცენტამდე 1938 წელს. არანაკლებ საგულისხმოა იტალიის საავტომობილო მრეწველობის პროდუქციის შემცირება, — და ეს მიუხედავად დიდი სამხედრო დაკვეთებისა. როგორც ვხედავთ, კრიზისი თანდათანობით ედება იტალიის მრეწველობის უფრო და უფრო მეტ დარგებს და სამრეწველო კონიუნქტურის შემდგომი გაუარესება სავსებით გარდუვალია.

1938 წელს გერმანიის მრეწველობის პროდუქციის მცირე ზრდა შესაძლებელი გახდა ნედლეულის იმპორტის ზრდის შედეგად. მაგრამ გერმანიის ექსპორტი 1938 წლის კრიზისის გავლენით დაეცა 10 პროცენტით, რის შედეგადაც სავაჭრო ბალანსში თავი იჩინა მნიშვნელოვანი თანხის — 432 მილიონი მარკის დეფიციტმა, რაც ექვსჯერ აღემატება გერმანიის არსებულ ოქროს მარაგს. ჰიტლერი ამასწინათ გამოვიდა ლოზუნგით: „ექსპორტი ან სიკვდილი". ამ ისტერიულ ლოზუნგში გამოხატულება ჰპოვა გერმანიის მეტისმეტად მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ, რომელშიც იგი ჩავარდა შეიარაღებისა და სამხედრო ავანტიურების გამოდევნების გამო.

„არ შეიძლება დაეჭვება, რომ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გერმანიის მრეწველობა უნდა დაადგეს დაქვეითების იმავე გზას, რომელსაც უკვე დაადგნენ იაპონია და იტალია" **(სტალინი).**

ეკონომიური რესურსების გამოფიტვასთან ერთად აგრესორ ქვეყნებში სწარმოებს მშრომელთა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და მათი მატერიალური საარსებო დონის სწრაფი შემცირება. სამუშაო დღის მეტისმეტად გაგრძელება, შრომის ინტენსივობის გაძლიერება, რეალური ხელფასის უფრო და უფრო ძლიერ დაცემის, სიძვირის ზრდისა და კვების გაუარესების დროს — ასეთია მუშათა კლასის მდგომარეობის სურათი აგრესიის ქვეყნებში. მუშათა ფიზიკური დასუსტების ერთერთ შედეგს წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების დაწყებული დაცემა გერმანიის მრეწველობის ზოგიერთ დარგში, კერძოდ ქვანახშირის მრეწველობის დარგში, რამაც უკვე გამოიწვია ქვანახშირის ამოღების შემცირება.

ფაშისტური აგრესიის ქვეყნები შეუჩერებლად მიექანებიან უმძაფრესი ეკონომიური კრიზისისაკენ.

ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში XVIII პარტყრილობაზე ამბობდა:

„... რას ნიშნავს ქვეყნის მეურნეობის გადაყვანა სამხედრო ეკონომიკის რელსებზე? ეს ნიშნავს, რომ მრეწველობას მისცე ცალმხრივი, სამხედრო მიმართულება, ყოველნაირად გააფართოვო ომისათვის საჭირო საგნების წარმოება, რაც დაკავშირებული არ არის მოსახლეობის მოხმარებასთან, ყოველნაირად შეჰკვეცო წარმოება და განსაკუთრებით მოსახლეობის მოხმარების საგნების გამოშვება ბაზარზე, — მაშასადამე, შეამცირო მოსახლეობის მოხმარება და ქვეყანა ეკონომიური კრიზისის წინაშე დააყენო".

კაპიტალისტურ სამყაროში, როგორც ეს გვიჩვენა თავის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა, მრეწველობა ტკეპნის ერთ ადგილს 1933 წლის დონის გარშემო, მხოლოდ ოდნავ აჭარბებს მას, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის მრეწველობამ 1938 წელს უკვე 9-ჯერ გადააჭარბა 1933 წლის დონეს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში უფრო და უფრო მრავლდება კაპიტალიზმის საერთო, განუკურნებელი კრიზისის გაძლიერების, კაპიტალიზმის პარაზიტული ლპობის, მისი კრახის მოახლოების ნიშნები. იქ სწარმოებს სამრეწველო წარმოების მკვეთრი დაცემა, მძაფრი აგრარული კრიზისი, მშრომელთა უფართოესი მასების უმუშევრობისა და სიღატაკის ზრდა.

საბჭოთა კავშირში [illegible] სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდა და აყვავება, ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების კეთილდღეობის ზრდა, ყველა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის უდიდესი აღმავლობა. გრანდიოზულია მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმები.

„მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულება იქნება საუკეთესო მოწმობა კომუნიზმის ყოვლისმძლეობისა მის ისტორიულ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან" (ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენების გამო საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციიდან).

# საკ. კ. პ. (ბ) წესდება პარტიული ცხოვრების ურღვევი საფუძველია

## ახალი ამოცანების წინაშე

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ პარტიას ხელში მისცა მძლავრი ორგანიზაციული იარაღი. ყრილობის მიერ დამტკიცებული პარტიული წესდება, ჩვენი პარტიული ცხოვრების ურყევი საფუძველი, ახალ გაქანებას აძლევს პარტიის ორგანიზაციულ მუშაობას.

პარტიის წესდება ნათლად ასახავს იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა ჩვენი ქვეყნის კლასობრივ სტრუქტურაში სოციალისტური საზოგადოების აშენების შედეგად. დიდმა სტალინმა თავის მოხსენებაში XVIII ყრილობაზე გენიალურად ჩამოაყალიბა საბჭოთა ინტელიგენციის მიერ განვლილი გზა და მისი ადგილი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში. „ჩვენ ამჟამად გვყავს მრავალრიცხოვანი, ახალი, ხალხური, სოციალისტური ინტელიგენცია, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება ძველი, ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი სოციალურ-პოლიტიკური სახით“.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი სოციალისტური ინტელიგენციის ექვსიათასიან კოლექტივს მოიცავს. ჩვენი სტუდენტობა თითქმის მთლიანად გუშინდელი მუშები და გლეხები, ან მათი შვილებია. ბევრი მათგანი საბჭოთა ხელისუფლების წლებშია დაბადებული და აღზრდილი. პროფესორ-მასწავლებელთა შორის ახალგაზრდა კადრები მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ; ხოლო ძველი, რევოლუციამდე აღზრდილი პროფესორ-მასწავლებლები ერთგულად და პატიოსნად მუშაობენ საბჭოთა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებისათვის.

უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციას ჰყავს მეტად დიდი რეზერვი. ეს არის ჩვენი კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც 3700 კომკავშირელს აერთიანებს. მათ შორის 700-ზე მეტი ფრიადოსანი სტუდენტია. 300-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ამ დიდ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ უპასუხებს ჩვენი ორგანიზაციის ზრდის ტემპი. პარტიის ძველი წესდებით არსებული შეზღუდვანი ერთგვარად აფერხებდნენ პარტიაში მიღების საქმეს ჩვენს ორგანიზაციაში, 1938 წელს პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულ იქნა სულ 135 კაცი. ისინი, რამდენიმე ამხანაგის გამოკლებით, პარტიაში შევიდნენ მეოთხე კატეგორიით. რეკომენდაციების შოვნა იმ ამხანაგებისათვის, რომელთაც პარტიაში შესვლა სურდათ, ადვილი საქმე როდი იყო, რადგან ჩვენს ორგანიზაციაში სულ 25 კაცია ათ წელზე მეტი პარტიული სტაჟით. პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ხშირად უხდებოდა ერთგვარი „შუამდგომლობის“ გაწევა ზოგიერთი ამხანაგისათვის რეკომენდაციის მისაცემად. ფრიადოსანი სტუდენტები ამხ. შ. ჩაჩანიძე, შ. ლომიძე, ლ. ჯოჯუა და სხვ. 5-6 თვის განმავლობაში აგროვებდნენ რეკომენდაციებს.

ცვლილებანი პარტიულ წესდებაში ახალ ამოცანებს სახავს ჩვენი ორგანიზაციის წინაშე. ჩვენ ადრევე გავითვალისწინეთ, რომ პარტიაში მიღებისათვის კატეგორიების გაუქმება დიდად გაზრდიდა პარტიაში შესვლის მსურველთა რიცხვს. და მართლაც, ჯერ სულ რამდენიმე დღეა, რაც ყრილობის მიერ დამტკიცებული წესდება შევიდა მოქმედებაში, და უკვე მივიღეთ მრავალი განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. მარტო 2 აპრილს პარტბიუროში შემოვიდა 15 განცხადება. პარტიის წევრობის 62 კანდიდატს უკვე გაუვიდა საკანდიდატო სტაჟი.

გადაჭრით გავაძლიერებთ რა პარტიაში ახალ წევრთა მიღებას, ჩვენ ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ დიდი ბელადის მითითებას იმის შესახებ, რომ „პარტიის, განსაკუთრებით კომუნისტური პარტიის ძალა და ხვედრითი წონა დამოკიდებულია არა იმდენად წევრთა რაოდენობაზე, რამდენადაც მათს ხარისხზე, მათს სიმტკიცესა და პროლეტარიატის საქმისადმი ერთგულებაზე“.

ეს გვავალებს უკეთ მოვაწყოთ პარტიაში შემსვლელთა შემოწმება საქმიანობისა და პირადი თვისებების მიხედვით. ეს გვავალებს გადაჭრით გავაუმჯობესოთ ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან და არ გადავაქციოთ საკანდიდატო სტაჟის გავლა ფორმალურ საქმედ.

მტკიცე ინდივიდუალური შერჩევა, ადამიანების შერჩევა პრაქტიკულ სამუშაოზე თუ რამდენად ერთგული არიან ისინი კომუნიზმის საქმისა, — იყო და დარჩება ჩვენს სახელმძღვანელო პრინციპად პარტიაში მიღების საკითხის გადაჭრის დროს.

**ნ. დევიძე**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

სწორი პოლიტიკური ხაზის განხორციელებისათვის საჭიროა კადრები, საჭიროა ადამიანები, რომელთაც ესმით პარტიის პოლიტიკური ხაზი, რომელნიც ითვისებენ მას, როგორც თავის საკუთარ ხაზს, რომელნიც მზად არიან გაატარონ იგი ცხოვრებაში, რომელთაც შეუძლიათ მისი პრაქტიკულად განხორციელება და შესწევთ უნარი პასუხი აგონ მისთვის, დაიცვან იგი, იბრძოლონ მისთვის.

ი. სტალინი

პარტიის წინაშე ისახება ახალი გრანდიოზული და წარმტაცი პერსპექტივები, სდგებიან ახალი დიადი, რთული ამოცანები. რათა გადასჭრას ეს ამოცანები და შეასრულოს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის მოწინავე მებრძოლის თავისი როლი, ჩვენმა პარტიამ დაუცხრომლად უნდა ამახვილოს თავისი ორგანიზაციული იარაღი პარტიის წესდება, მიღებული ჩვენი ყრილობის მიერ, იქნება გამარჯვებული სოციალიზმის პარტიის წესდება, წესდება, რომელიც აიარაღებს პარტიის წევრებს იმისათვის, რათა წარმატებით შეასრულონ კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანები.

ა. ჟდანოვი

## ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენებას და XVIII პარტყრილობის მიერ დამტკიცებულ პარტიულ წესდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო კომისარიატების პირველადი პარტორგანიზაციების შემდგომი მუშაობისათვის. უნდა ითქვას, რომ აქამდე ჩვენთვის სავსებით გარკვეული არ იყო, თუ კონკრეტულად როგორ გაგვეწია ხელმძღვანელობა ჩვენი აპარატის სამეურნეო მუშაობისათვის.

წინათ პარტიული ორგანიზაცია ისმენდა მიწათმოქმედების სახკომის მოხსენებას სამეურნეო საკითხების გარშემო. მოხსენებათა გამო ღებულობდა ზოგადი ხასიათის დადგენილებებს ან ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ზოგჯერ ბევრად არ განსხვავდებოდა მიწსახკომის რომელიმე სამმართველოს ღონისძიებებისაგან. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ პარტორგანიზაციას საშუალება არა ჰქონდა ადგილებზე შეემოწმებინა მდგომარეობა და ჩვენ, ისევე როგორც თვით მიწსახკომის სამმართველოები, ვეყრდნობოდით იმ მასალებს, რომელიც რაიონებიდან მოდიოდა. არსებითად ეს იყო მიწსახკომის ფუნქციების მითვისება, მეორე მიწსახკომის შექმნა მიწსახკომში. ერთხელ ისიც კი მოხდა, რომ პარტორგანიზაციამ მობილიზაცია გაუკეთა პარტიის 25 წევრს და კომკავშირელ ამხანაგს და გაგზავნა რაიონის მტს-ებში ფინანსიური დავალიანების ამოსაკრებად.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვივიწყებდით მიწსახკომის თვით ცენტრალური აპარატის მუშაობის საკითხებს, შრომის დისციპლინის მდგომარეობას დაწესებულებაში, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვა-შემოწმების და სხვ. მაგრამ ამ საკითხებს ეჭირათ მეორეხარისხოვანი ადგილი და ამასთან, რაც მთავარია, ნაცვლად ზემდგომი ორგანიზაციებისათვის სიგნალის მიცემისა, ზოგჯერ პირდაპირ ვერევდით საქმეში. ცხადია, ეს კარგ შედეგს არ იძლეოდა.

პარტიულ წესდებაში მოცემულია ზუსტი განსაზღვრა, თუ როგორ უნდა მოაწყონ თავიანთი მუშაობა სახალხო კომისარიატების პირველადმა პარტორგანიზაციებმა. „სახალხო კომისარიატების პარტიული ორგანიზაციები, — ნათქვამია წესდებაში, — რომელთაც, საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის განსაკუთრებული პირობების გამო, კონტროლის ფუნქციებით სარგებლობა არ შეუძლიათ, ვალდებული არიან სიგნალი მისცენ დაწესებულების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ, აღნიშნონ სახალხო კომისარიატისა და მისი ცალკეული მუშაკების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებს უგზავნონ თავიანთი მასალა და მოსაზრებანი“.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამით მცირდება სახალხო კომისარიატების პარტიული ორგანიზაციების როლი და მოვალეობანი. პირიქით, იგი გვავალებს ახლებურად მოვაწყოთ მთელი ჩვენი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, ავამაღლოთ თვითეული კომუნისტის იდეურ-პოლიტიკური დონე, რათა დროულად შევნიშნოთ და გამოვავლინოთ სახალხო კომისარიატის აპარატში არსებული ნაკლოვანებანი.

**ბ. ჩოჩია**

საქ. მიწსახკომის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი.




## პარტიული ცხოვრების საფუძველი

საკ. კ. პ. (ბ) წესდება მოითხოვს გულისხმიერ დამოკიდებულებას ადამიანისადმი. სტალინურ ზრუნვას პარტიის წევრისადმი მთლიანად დათმობილი აქვს წესდების ოთხი მუხლი.

წინათ ზოგ შემთხვევაში უსაფუძვლო ან უმნიშვნელო დანაშაულისათვის რიცხავდნენ პარტიიდან კომუნისტებს. ჩვენი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ საწევრო შესატანის დროზე გადაუხდელობისათვის მ. ისრაელიანი ისე გარიცხა პარტიიდან, რომ მის მიმართ არავითარი აღმზრდელობითი ზომები არ მიუღია. არასაკმაო ბრალდებებით გარიცხეს აგრეთვე ამხ. ოგანიანი. ხსენებული ამხანაგები ახლა აღდგენილი არიან პარტიის რიგებში.

საკ. კ. პ. (ბ) წესდება, რომელიც დამტკიცებულია XVIII პარტყრილობის მიერ, ბოლოს უღებს ადამიანისადმი ასეთ არაგულისხმიერ დამოკიდებულებას.

პარტიული წესდება დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. თვითეული პარტიულის და არაპარტიული ბოლშევიკის მოვალეობაა ღრმად შეისწავლოს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წესდება.

**მ. როგაჩიძე**

საკ. კ. პ. (ბ) წევრი. თბილისის სპილენძის სატკეცი ქარხნის სტახანოველი.

## ახლებურად მუშაობის პირველი ნაბიჯები

პარტიის წესდება უკვე შევიდა მოქმედებაში. პარტორგანიზაციებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები პარტიული მუშაობის ახლებურად მოწყობის საქმეში. უდიდესი ამოცანებია დასახული საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების წინაშე. საწარმოო ორგანიზაციებს ენიჭებათ საწარმოთა ადმინისტრაციისათვის კონტროლის გაწევის უფლება. პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობასთან სამეურნეო მუშაობის აზრიანად შეხამება ხელს შეუწყობს მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებას.

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის პარტიული ორგანიზაციაც წინათ ვერ ათავსებდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო მუშაობასთან. პარტორგანიზაცია, ამჩნევდა რა ნაკლოვანებებს, ადმინისტრაციისათვის მხოლოდ მითითების მიცემით კმაყოფილდებოდა.

ქარხანაში მოგვარებული არ იყო ტექუშრომების საკითხი. ადმინისტრაცია არავითარ მუშაობას არ ეწეოდა წარმოებაში ახლად მიღებულთა შორის. ამ საკითხებს ვიხილავდით პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომაზე, მაგრამ „გვეშინოდა“ არ გამოგვსვლოდა ადმინისტრაციის ფუნქციებში ჩარევა და ვერ გამოგვქონდა სათანადო დადგენილება. მივუთითებდით ადმინისტრაციას და ამით თავდებოდა ყველაფერი.

პარტიის წესდების მიღების შემდეგ პარტორგანიზაციამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები. ჩვენ განვიხილეთ საკითხი გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის ხელისშეწყობის შესახებ. გამოირკვა, რომ ეს საქმე ქარხანაში კარგად ვერ იყო დაყენებული. პარტიულმა ბიურომ დაავალა ადმინისტრაციას მოაგვაროს გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მიერ შემოტანილი წინადადებების დროულად განხილვა, ყოველმხრივ შეუწყოს მათ ხელი.

რამდენიმე სიტყვა კომკავშირის შესახებ. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება პარტიის წევრობის 8 კანდიდატი, რომლებიც ამავე დროს ალკკ წევრები არიან. ამ ამხანაგებს დავალებები ეძლეოდათ როგორც პარტიული, ისე კომკავშირული ორგანიზაციებიდან, ორივე ორგანიზაციაში უხდებოდათ კრებებზე და თათბირებზე დასწრება. ცხადია, ამით ისინი მეტისმეტად იყვნენ დატვირთული და უძნელდებოდათ მიცემული დავალების შესრულება.

ნ. ტატინიანი 1928 წლიდან პარტიის წევრია, ის ამავე დროს კომკავშირელიცაა. ტატინიანს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებიდან მიცემული აქვს დავალება, მაგრამ ხეირიანად ვერცერთს ვერ ასრულებს.

კომკავშირის ორგანიზაცია მოწყვეტილი იყო სამეურნეო საკითხებს. „გეგმების შესრულება, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება — ესენი სამეურნეო საკითხებია და ჩვენ არ გვეხება“, — აცხადებდნენ კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციამ უკვე გადადგა ნაბიჯი. ახლა კრებებზე იხილავენ საწარმოო ხასიათის საკითხებს, სახავენ ღონისძიებებს გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ამჟამად პარტიაში მიღებას ჩვენ მთელი ენერგიით მოვკიდეთ ხელი. ყრილობის დამთავრების შემდეგ პარტიულ ორგანიზაციის ბიუროში პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღების შესახებ 12 განცხადება შემოვიდა. 28 მარტს პარტიის წევრობის კანდიდატად მივიღეთ 2 მოწინავე ამხანაგი, ხოლო ორი კანდიდატი გადავიყვანეთ პარტიის წევრად. ამ დღეებში განვიხილავთ დანარჩენების მიღების საკითხსაც.

ასეთია ჩვენი პირველი ნაბიჯები. ჩვენი პარტიული ბიურო ყოველგვარ ზომას მიიღებს პარტიული მუშაობის ახლებურად დაყენებისათვის.

**კ. ერაძე**

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი.

## როგორ ვანხორციელებთ პარტიულ კონტროლს ჩვენს ფაბრიკაში

საკ. კ. პ. (ბ) წესდებამ საპატიო და პასუხსაგები მოვალეობა დააკისრა საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. მათ უფლება მიენიჭათ კონტროლი გაუწიონ საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობას.

წესდების ეს მუხლი კიდევ უფრო აძლიერებს პარტორგანიზაციების პასუხისმგებლობას წარმოების მუშაობის ყოველდღიური საქმიანობის შესწავლისა და იმ დეფექტების აღმოფხვრისათვის, რომლებიც წარმოებას აქვს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ფაბრიკის პარტორგანიზაცია თითქოს დღემდე არ იყო დაინტერესებული საწარმოს ცხოვრებით. პარტორგანიზაციას თავისი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა არ გამოუყვია საწარმოო საკითხებზე მუშაობისაგან. არაერთხელ იდგა პარტიული ბიუროს სხდომებზე და პარტორგანიზაციის კრებებზე საკითხი ფაბრიკის მუშაობის შესახებ, განსაკუთრებით მიმდინარე წლის დასაწყისიდან. ჩვენ მტკიცედ მოვკიდეთ ხელი შრომის დისციპლინის ამაღლების საქმეს; საკითხი განხილულ იქნა პარტბიუროს სხდომაზე და პარტიული ორგანიზაციის კრებაზე გამოვავლინეთ დამახინჯებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფაბრიკაში (45 მუშისათვის საყვედურის ერთბაშად გამოცხადება და სხვ.). პარტორგანიზაციის დახმარებამ სათანადო შედეგი გამოიღო. თუ იანვარში ფაბრიკაში დაგვიანების და გაცდენის 50-ზე მეტი შემთხვევა იყო, მარტში დაგვიანების მხოლოდ 2 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. პარტორგანიზაციის ინიციატივით გამომუშავებულ იქნა ფაბრიკის შინაგანაწესი, ყველა საამქროში დაიდგა საათები, მოგვარდა თეთრეულის საამქროში მუშა-ხელის ნაკლებობის საკითხი და სხვ., რამაც სათანადო შედეგი გამოიღო. ეს იქიდანაც სჩანს, რომ თუ იანვარში ფაბრიკამ გეგმა მხოლოდ 90 პროცენტით შეასრულა, მარტში შესრულდა — 111,8 პროცენტით. ამან უზრუნველჰყო კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულება. გამომშრელი ფაბრიკა თვიური და კვარტალური ალწერის წინ ჩვენს საწარმოს წინასწარ არ ამარაგებდა სათანადო მასალით, რამაც თებერვალში ჩვენი საწარმოს მუშაობა 5 დღით შეაჩერა და გეგმების შესრულებაში სერიოზული ჩამორჩენა გამოიწვია. პარტორგანიზაციამ აღნიშნული საკითხი დააყენა საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის წინაშე, რის შედეგად გამომშრელი ფაბრიკის მხრივ ასეთი დანაშაულებრივი მოქმედება აღმოფხვრილ იქნა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება, მაგრამ ეს როდი კმარა. საკ. კ. პ. (ბ) წესდება გვავალებს უფრო მეტი მონაწილეობა მივიღოთ საწარმოს ცხოვრებაში, გავუწიოთ მას კონტროლი და სათანადოდ დავეხმაროთ.

როგორ ჰფიქრობს ჩვენი პარტორგანიზაცია ამ ამოცანის შესრულებას? ამის განსახორციელებლად აუცილებელია პარტორგანიზაციის კრებებზე საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისა და საწარმოს შესახებ დირექციის პერიოდულ მოხსენებათა მოსმენა, მაგრამ არც ესაა საკმაო. საჭიროა პარტორგანიზაცია, თვითეული კომუნისტის ცხოველი მონაწილეობით ჩაებას სამეურნეო საკითხების განხილვაში, საამქროებიდან, ჯგუფებიდან კომუნისტებმა უნდა მისცენ სიგნალები პარტიულ ორგანიზაციას ამათუიმ ნაკლოვანებისა და დეფექტის არსებობის შესახებ.

პარტორგანიზაცია, იმასთან ერთად, რომ კონტროლს გაუწევს საწარმოს, უნდა დაეხმაროს მას ნაკლის გამოსწორებაში, იმუშაოს ადმინისტრაციასთან ერთად და არ დაარღვიოს ერთმმართველობა.

„...უჯრედს, რომ შეეძლოს უხელმძღვანელოს ქარხნის უპარტიო მასას და თან გაიყოლიოს იგი, მას რომ შეეძლოს პასუხისმგებელი იყოს საწარმოს საქმეთა მსვლელობისათვის, — ხოლო მას უპარტიო მასების წინაშე უთუოდ აწევს მორალური პასუხისმგებლობა საწარმოს გარღვევებისათვის, — იგი ამ საქმეთა კურსში უნდა იყოს, მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ასეთუისე გავლენა მოახდინოს ამ საქმეებზე. ამიტომ აუცილებელია, რათა უჯრედები ჩაბმულ იქნან საწარმოსთან დაკავშირებული სამეურნეო საკითხების განხილვაში“. (სტალინი).

ამხანაგ სტალინის ამ მითითების რეალიზაცია ახლა პარტიული ორგანიზაციების ერთერთი ამოცანაა, რათა უზრუნველყოფილ იქნას წარმოებაზე კონტროლის განხორციელება და პარტორგანიზაციის მხრივ მისდამი ბოლშევიკური დახმარება.

**ა. შახულოვი.**

თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.



თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშაკები: (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. ხუციშვილი, ე. ხუციშვილი, მ. ლათიაშვილი პარტკაბინეტში კითხულობენ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წესდებას.

ფოტო რ. აკოფოვისა

**ე. ჩერქეზია**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი.

## პარტიის ორგანიზაციული სიმტკიცის უმაღლესი კანონი მოქმედებაში

ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობამ ახალი, შესანიშნავი ფურცელი გადაშალა ბოლშევიკური პარტიის წარმტაც ისტორიაში.

ყრილობამ დასახა სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გრანდიოზული პროგრამა და ერთხმად დაამტკიცა საკ. კ. პ. (ბ) წესდება—ჩვენი პარტიის ორგანიზაციული ძლიერების უმაღლესი კანონი.

ჩვენს პარტიას, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი ტიპის პარტიას, პარტიული მშენებლობის ორგანიზაციული ფორმები არასოდეს არ გადაუქცევია მუდმივ სქემად და დოგმად, არამედ პარტიის ეს ორგანიზაციული ფორმები იცვლებოდნენ და იცვლებიან კონკრეტულ ისტორიულ ვითარებასთან სრული შეფარდებით. ჩვენი პარტიის წესდება, ამ გაგებით, პარტიის ხელში წარმოადგენს იმ მომარჯვებულ ორგანიზაციულ იარაღს, რომელიც სავსებით ასახავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებათა სიდიადეს და იმ ისტორიულ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში.

პარტიის წესდებაში უმაღლეს სიმაღლემდეა აყვანილი შინაპარტიული დემოკრატიზმის შემდგომი აყვავება, კადრებზე, როგორც ოქროს ფონდზე, სტალინური მზრუნველობა. წესდებაში ერთერთ მუხლად შეტანილია მუხლი კომუნისტების უფლება-მოვალეობათა შესახებ, რაც ფრიად საგულისხმოა.

ამ პუნქტის შეტანა წესდებაში უფრო განამტკიცებს შინაპარტიულ დემოკრატიზმს, გააძლიერებს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, აამაღლებს კომუნისტების აქტივობასა და შემოქმედებით ინიციატივას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს წესდებაში იმ მუხლსაც, რომელიც შეეხება პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხული პირის პარტიაში აღდგენის საკითხს. ეს მუხლი ითვალისწინებს იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას მაქსიმალური მზრუნველობა და ამხანაგური მიდგომა იმისადმი, თუ რამდენად დასაბუთებულია კომუნისტისათვის წაყენებული ბრალდებანი. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ მითითება იმის შესახებ, რომ „პარტიის რიგითი წევრებისათვის პარტიაში ყოფნა ან პარტიიდან გარიცხვა,—ეს სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხია“. (სტალინი).

ჩვენი რაიონის ზოგიერთ პარტორგანიზაციაშიც ჰქონდა ადგილი შინაპარტიული დემოკრატიზმის დარღვევის ფაქტებს. მაგალითად, საქალრიცხვის პარტორგანიზაციის კრებებს ყოველთვის ერთი და იგივე პიროვნება (ამხ. მამალაძე) თავმჯდომარეობდა, ამიტომ მას „შტატის თავმჯდომარეს“ ეძახდნენ; „კონსერვსბიტის“ პირველადი პარტორგანიზაციის დახურული კრებების ოქმებს ხელს აწერდა მარტო კრების მდივანი; სპეცვაჭრობის პარტორგანიზაციაში პარტბიუროს ოქმებს არ ამტკიცებდნენ საერთო კრებაზე და სხვ., მაგრამ ეს დარღვევანი გამოსწორებულია რაიკომის მიერ.

XVIII პარტყრილობის მიერ დამტკიცებული წესდებით პარტიაში მიღების სხვადასხვა კატეგორიებისა და სხვადასხვა საკანდიდატო სტაჟის ნაცვლად დაწესებულია პარტიაში მიღების ერთნაირი პირობები ყველასათვის—მუშა იქნება ის, გლეხი თუ ინტელიგენტი. ეს ფრიად საგულისხმო მოვლენაა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. ეს მოწმობს, რომ განმტკიცდა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს—მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციას შორის.

თვითკრიტიკის წესით უნდა ითქვას, რომ პარტიაში მიღებას წარსულ პერიოდში ჩვენ კარგად ვერ ვხელმძღვანელობდით. ხშირად ვაგვიანებდით იმ ამხანაგების განცხადებების განხილვას, რომლებიც პარტიაში მეოთხე კატეგორიით შედიოდნენ. რაიკომში ამჟამად ბევრია განსახილველი ისეთი ამხანაგების საკითხი, რომლებსაც ამ დღეებში საკანდიდატო სტაჟი უსრულდებათ. მაგალითად, დღეისათვის რაიკომში განსახილველია 335 ამხანაგის საქმე, რომელთა უმრავლესობა პირველადი პარტორგანიზაციების მიერ მიღებულია 1938 წლის აპრილსა, მაისსა და ივნისში და მის შემდეგ.

ჩვენი რაიონის ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტკანდიდატები ერთგვარ „ხელშეუხებელ ფონდად“ გადაიქცნენ. რაიონში დღეისათვის ისეთი „მარადი“ კანდიდატები, რომლებიც თავის საკანდიდატო სტაჟს ითვლიან 7-10 წლამდე, არის 44 კაცი. მაგალითად: სპეცვაჭრობის პარტორგანიზაციაში (პარტბიუროს ყოფ. მდივანი შ. ბერია) ამხ. პ. საბო პარტიის წევრობის კანდიდატია 1931 წლიდან; მას პარტორგანიზაცია არ ეხმარება და არც თვითონ ზრუნავს გადაირიცხოს პარტიის წევრად. არტელ „შეჯიბრის“ პარტორგანიზაციაში (პარტორგი სირბილაძე) ი. ენუქიძე 1932 წლიდან პარტიის წევრობის კანდიდატია და სხვ. მოყვანილი ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ რაიკომმა და ზოგიერთმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ გააუმჯობესეს მუშაობა სტაჟგადაცილებული პარტკანდიდატების პარტიის წევრებად გადაყვანისათვის.

ამჟამად პარტიის წესდებით საწარმოთა პარტორგანიზაციებს მიკუთვნებული აქვთ საწარმოს ადმინისტრაციის კონტროლის უფლება. ეს სავსებით მართებულია, რადგან აძლიერებს ადგილობრივი პარტორგანიზაციის და თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობას.

ჩვენს რაიონში მრავალი საწარმოა, სადაც პარტორგანიზაციამ კარგად შეათავსა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და სამეურნეო საქმიანობა და ადმინისტრაციასთან შეთანხმებულად იმუშავა, იქ საწარმოო გეგმები გადაჭარბებით სრულდება. მაგალითად, 1935 წლიდან არსებობს სატრიკოტაჟო ფაბრიკა, რომელმაც თავისი არსებობის ისტორიაში პირველად შეასრულა გადაჭარბებით საწარმოო გეგმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. გასული წლის დასასრულს სატრიკოტაჟო ფაბრიკის დირექტორად ჩვენ დავაწინაურეთ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. მანია არაქელოვა. ამხ. არაქელოვას აქვს სამეურნეო მუშაობისა და პარტიული მუშაობის მდიდარი გამოცდილება. ეს გამოცდილება მან გამოიყენა თავის ყოველდღიურ მუშაობაში, შეისწავლა ყველა „წვრილმანი“, რაც ხელს უშლიდა ფაბრიკის ნორმალურად მუშაობას, და ახლა ადმინისტრაციისა და ადგილობრივი პარტორგანიზაციის შეთანხმებული მუშაობით საწარმოო გეგმები გადაჭარბებით სრულდება. ასევე სტალინის სახელობის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკამ და № 1 ტყავის ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულეს წინასაყრილობო შეჯიბრებაში ნაკისრი საწარმოო ვალდებულებანი.

მაგრამ საქმე ყველგან ასე როდია. საგალანტერეო ფაბრიკამ 1939 წლის იანვრის საწარმოო გეგმა შეასრულა 43 პროცენტით, ხოლო თებერვლისა—76 პროცენტით. ფაბრიკის დირექტორი ამხ. პ. მურადოვი და პარტბიუროს მდივანი ამხ. მ. ხურცია შეთანხმებულად ვერ მუშაობენ. პარტბიურომ ვერ შეათავსა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო საქმიანობასთან.

პარტიის წესდებით კიდევ უფრო იზრდება სახალხო კომისარიატების პირველადი პარტორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების საქმეში. როგორც წესდებაშია ნათქვამი, ამ პარტორგანიზაციებს თავისი სპეციფიურობის გამო შესაძლებლობა არა აქვთ კონტროლი გაუწიონ სათანადო კომისარიატების მუშაობას.

იყო იმის მაგალითები, როდესაც სახალხო კომისარიატების პარტორგანიზაციები იხილავდნენ რესპუბლიკური მნიშვნელობის საკითხებს, მაგალითად, საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაციას მრავალჯერ განუხილავს საკითხი მცხეთის სახერხი ქარხნის, ბორჯომის ტყეჩის ქარხნის და მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის მუშაობის შესახებ. საქ. სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაცია იხილავდა კოოპინკავშირის სალაროსა და გომბორის წყალსადენის მუშაობის საკითხებს, გამოჰქონდა ყოვლად უვარგისი და შეუფერებელი დადგენილებები.

„ჩვენ აქ საქმე გვაქვს უვარგის პრაქტიკასთან, რომლის წახალისებაც არ შეიძლება. ეს არის საბჭოთა უჯრედის ამოცანების შესახებ არსებულ ელემენტარულ ცნობათა აღრევის ნიმუში. ეს არის ხელმძღვანელობის პაროდია, ცდა — შეჰქმნან სახალხო კომისარიატი სახალხო კომისარიატში“ (ჟდანოვი).

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამ პარტორგანიზაციებს ნაკლები ამოცანები აკისრიათ. მათი როლი განსაკუთრებით იზრდება. მათ სიგნალი უნდა მისცენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელებს, თუ რაიმე დამახინჯებას აქვს ადგილი სახალხო კომისარიატის მუშაობაში.

რაიკომებში კადრების, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო და სამხედრო განყოფილებათა შექმნა ახალ მძლავრ ორგანიზაციულ ღონისძიებას წარმოადგენს, რომელიც აუცილებელია ჩვენი განვითარების დღევანდელ ეტაპზე, რათა ბოლშევიკურად მოვაწყოთ კადრების შერჩევა და შესრულების შემოწმება.

საკ. კ. პ. (ბ) წესდება უკვე შევიდა მოქმედებაში. კიროვის რაიკომმა გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები პარტიის ორგანიზაციული ძლიერების ამ უმაღლესი კანონის ურყევად გატარებისათვის. რაიკომი შეუდგა კადრების შერჩევას ახლად შესაქმნელი განყოფილებების დასაკომპლექტებლად. რაიონის მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში (მკერავი № 6, № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკა და სხვ.). პარტიის წესდების მიხედვით ბოლშევიკურად ხელმძღვანელობენ პარტიაში ახალ წევრთა მიღებას. აქ პარტიის რიგების შევსება ხდება კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანებისაგან.



გერმანელ ფაშისტ დამპყრობლების მიერ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ოკუპაციის საპროტესტოდ პარიზში შემდგარი დემონსტრაციის მონაწილენი ჩეხოსლოვაკიის ტურიზმის საზოგადოების შენობასთან.

საკდესის ფოტოქრონიკა

# ავსტრიელი ჯარისკაცის სიკვდილით დასჯა ბერლინში

16 მარტს ბერლინში სიკვდილით დასაჯეს ავსტრიელი ჯარისკაცი ფოგელი, რომელსაც 13 მარტს სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა „მკვლელობის ცდისა, სახელმწიფო ღალატის მომზადებისა და დეზერტირობისათვის“. გესტაპო და სამხედრო სასამართლო შეეცადნენ მიეჩქმალათ ფოგელის სიკვდილით დასჯის ნამდვილი მიზეზები. როგორც ანტიფაშისტური პრესა იუწყება, ამ ცოტა ხნის წინათ გამოირკვა, რომ ფოგელი ეკუთვნოდა ავსტრიელ ჯარისკაცთა საიდუმლო პატრიოტულ ორგანიზაციას, რომელიც რამდენიმე თვის წინათ წარმოიშვა და უკვე შესძლო შეექმნა ავსტრიაში თავისი უჯრედების ფართო ქსელი უდიდეს ყაზარმებში. ავსტრიელ პატრიოტ ჯარისკაცთა ამ ორგანიზაციას ეკუთვნიან აგრეთვე ოფიცრები. იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთ ყაზარმაში დაიწყო ჯარისკაცთა წვრთნის გერმანიზაციის წინააღმდეგ მიმართული არეულობა, გესტაპომ მოახდინა გამოძიება და მიაგნო იმ ჯგუფთან კავშირის ზოგიერთ ძაფებს, რომელსაც ფოგელი ეკუთვნოდა. გესტაპოს აგენტები ვენაში შეეცადნენ დაეპატიმრებინათ ჯარისკაცთა კრება, მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს, რადგან კრების მონაწილენი, რომელნიც გააფრთხილეს პოლიციელთა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, დროულად მიიმალნენ. პოლიციამ მარტო ფოგელს მიუსწრო და დააპატიმრა.

გესტაპომ აქამდე ვერ შესძლო ეპოვნა ჯარისკაცთა კრების სხვა მონაწილენი. ეს იმას მოწმობს, რომ ფოგელმა გაქცევის დროს მოახერხა მოესპო სათანადო მასალები და არ გასცა თავისი ამხანაგები დაკითხვის დროს. ავსტრიელ პატრიოტ ჯარისკაცთა მთელი ორგანიზაცია მთლიანად კვლავ არსებობს და ჯარისკაცთა შორის პროპაგანდას ეწევა იმისათვის, რომ მათ უარი სთქვან ომის წარმოებაზე ფაშისტური გერმანიის ინტერესებისათვის. (საკდესი).

# პარლამენტის ნაწილობრივი არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 3 აპრილი (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატის შემადგენლობიდან რამდენიმე დეპუტატი გამოვიდა, საფრანგეთში ამ უკანასკნელ დღეებში ჩატარდა დამატებითი არჩევნები.

მარსელში არჩეულ იქნა სოციალისტი ტუსენი, რომელმაც 7.291 ხმა მიიღო. ფაშისტური ეგრეთწოდებული „საფრანგეთის სოციალური პარტიის“ კანდიდატმა აქ 4.555 ხმა შეაგროვა. სენ-ბრიეში (კოტ-დიუ ნორის დეპარტამენტი) არჩეულ იქნა რადიკალ-სოციალისტი ოფრეი, რომელმაც 8.137 ხმა მიიღო. ფაშისტების კანდიდატმა ამ ოლქში მიიღო 4.814 ხმა. მარენში (ქვემო შარანტის დეპარტამენტი) არჩეულ იქნა რადიკალ-სოციალისტი ეი, რომელმაც 6.004 ხმა მიიღო. რეაქციონერთა კანდიდატმა აქ 2.868 ხმა შეაგროვა.

ნიცაში არჩეულ იქნა დამოუკიდებელი რესპუბლიკელი ჟაკ ბუნენი. ობიუსონში (კრეზის დეპარტამენტი) არჩეულ იქნა სურიუ („დემოკრატიული კავშირი“).

# პრეზიდენტის არჩევნებისათვის საფრანგეთში

[...]

# სერგეი ლაზო

სერგეი გიორგის-ძე ლაზოს სახელი ისეთივე ლეგენდარული შარავანდედით არის მოსილი, როგორც სამოქალაქო ომის გმირების — ჩაპაევის, შჩორსის, პარხომენკოს სახელები.

„ეს იყო, — ამბობს მისი ქალიშვილი ადა ლაზო, — ხალხისადმი მგზნებარე სიყვარულით აღსავსე ადამიანი, მას სძულდა ცარიზმი, კაპიტალიზმის მთელი საზიზღარი, ექსპლუატატორული წყობილება... მას უყვარდა სიცოცხლე, თავისუფლება, თავისი ხალხი“.

თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ს. ლაზო მუშაობს კრასნოიარსკის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოში პოლკის კომიტეტის წევრად, და ამ დღიდან სიკვდილამდე იგი დაუღალავად იბრძვის მუშათა კლასის საქმისათვის. იგი ებრძვის იუნკრებს ირკუტსკში, სემიონოვის ბანდებს ზაბაიკალიეში, შემდეგ კოლჩაკსა და იაპონელ ინტერვენტებს.

1918 წლის იანვარში ვლადივოსტოკის ყურეში თვითნებურად შემოვიდა იაპონელთა ორი კრეისერი. იაპონელები ემზადებოდნენ აშკარა ინტერვენციისათვის და ამავე დროს ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ შორეული აღმოსავლეთი სემიონოვის საშუალებით, რომელიც აგროვებდა თეთრგვარდიელებს მანჯურიაში. იანვრის შუა რიცხვებში სემიონოვის ბანდა შემოიჭრა ზაბაიკალიეში. ბოლშევიკებმა გამოაცხადეს რევოლუციურ ძალთა საბრძოლო მობილიზაცია.

ამ დღეებში ქ. ჩიტაში ზაბაიკალიეს აღმასკომის თავმჯდომარესთან გამოცხადდა მაღალი, ტანადი, გრძელ, სამხედრო მაზარაში გამოწყობილი ახალგაზრდა.

— მე მოვლინებული ვარ ფრონტზე, — მოახსენა მან.

ეს იყო ს. ლაზო — ციმბირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ზაბაიკალიეს ფრონტის სარდლად დანიშნული.

[...]

აღმოსავლეთის პარტიზანულმა რაზმებმა ლაზოს მეთაურობით გააჩაღეს ბრძოლა კოლჩაკის თეთრგვარდიელთა ბანდების ნაშთების სალიკვიდაციოდ და ემზადებოდნენ უკანასკნელი ბრძოლებისათვის იაპონელი ინტერვენტებისაგან საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის გასათავისუფლებლად. ლაზო ამზადებდა დიდ აჯანყებას თეთრების წინააღმდეგ. იაპონელი ჯაშუშები უშედეგოდ ეძებდნენ ლაზოს. მხოლოდ მუხანათური მოტყუებით შესძლეს მათ ლაზოს ხელში ჩაგდება.

ეს მოხდა 1920 წელს. აჯანყებულმა მუშებმა და პარტიზანებმა განდევნეს [...]





# კომპოზიტორ ია კარგარეთელის დაკრძალვა

გუშინ მოხდა გამოჩენილი მუსიკოსის, მხცოვანი კომპოზიტორის ია კარგარეთელის ნეშტის დაკრძალვა.

3 აპრილს განსვენებულის ცხედარი ბინიდან გადასვენებულ იქნა ხელოვნების ოსტატთა კლუბში, სადაც საღამოს 7 საათზე შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი. სამოქალაქო პანაშვიდი შესდგა აგრეთვე გუშინ 4 საათზე; გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს: კომპოზიტორთა კავშირის სახელით—სახ. კონსერვატორიის დოცენტმა გ. ჩხიკვაძემ, სახ. კონსერვატორიის სახელით—პ. ხუჭუამ, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით—პოეტმა ვ. გორგაძემ, რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის სახელით—სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკ. ვასაძემ და ია კარგარეთელის სამშობლო—ქ. გორის მცხოვრებთა სახელით—გორის ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელმა სვანიძემ.

გამოსვენება მოხდა სრულ 5 საათზე. კუბო გამოიტანეს კომპოზიტორებმა: ი. გოკიელმა, ლ. ფალიაშვილმა და გ. კოკელაძემ, დ. კავსაძემ, პ. ხუჭუამ, გ. ჩხიკვაძემ და სხვ.

ია კარგარეთელის ნეშტი დაკრძალულ იქნა ქართველ მოღვაწეთა ახალ პანთეონში ვაკის სასაფლაოზე.

# სამედიცინო დახმარება მინდვრებზე

საგაზაფხულო ხვნა-თესვის მიმდინარეობის პერიოდში კოლმეურნეთათვის დახმარების გასაწევად საქართველოს ჯანსახკომთან არსებულმა [...]

## სასამართლო

# სადგ. აჯამეთში მომხდარი მარცხის დამნაშავეთა გასამართლება

1 მარტს სადგ. აჯამეთში ავარია განიცადა სახალხო მატარებელმა № 74. სადგურის მორიგემ მატარებლის მისაღებად გზის გამზადების შესახებ დროულად აცნობა უფროს მეისრე გ. ჯღამაძეს, უკანასკნელმა განკარგულება შეასრულა, მაგრამ წესის თანახმად არ დაკეტა ისარი და გასაღები თან არ წაიღო. როცა მატარებელი სადგურში შემოსასვლელ ისრებს მიუახლოვდა, ჯღამაძე კვლავ მიიჭრა სწორად დაყენებულ ისართან და მიმართულება შეუცვალა. ამ დროს ორთქლმავლის ტენდერი და მომყოლი ვაგონი უკვე ისარზე გადადიოდა. ორთქლმავლისა და ვაგონების სხვადასხვა ლიანდაგში გადასვლამ გამოიწვია მარცხი. ავარიას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი, ხოლო ტრანსპორტმა რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი ნახა.

ჯღამაძის საქმე საჯარო-საჩვენებელო პროცესით 2 აპრილს სადგ. სამტრედიის რკინიგზის კლუბში გაარჩია ა.-კ. რკინიგზის სახაზო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ნ. სტურუას თავმჯდომარეობით და პროკურორ წ. გოგიას მონაწილეობით. ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი ნ. ქურდიანი.

გ. ჯღამაძემ წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ სცნო.

მხარეთა კამათის შემდეგ სასამართლომ ბრალდებულ ჯღამაძეს მიუსაჯა დახვრეტა, მაგრამ მიიღო მხედველობაში, რომ იგი არ წარმოადგენს სოციალურად საშიშ პიროვნებას, და სასჯელი შეუცვალა 10 წლით თავისუფლების აღკვეთით და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით სამოქალაქო უფლებების აყრით.

დ. ჭ—ვა.

# ფეხბურთი

## 3 : 0

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა ლენინგრადის „დინამოს“ (ოსტატები) და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდების საქალაქთაშორისო მატჩი.

შეჯიბრების დაწყებისთანავე უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა ისე ენერგიულად დაიწყეს თამაში, რომ უკვე მეორე წუთზე შესძლეს ლენინგრადის კარის გარ- [...]